დაქცია
ისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
[illegible] საქმისათვის მოლაპარა-
შეიძლება ყოველდღე
ა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დაწესებულებისათვის ქალაქში—85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“.
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ. ზემოთ ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამხრეთ-სლავიის მთავრობამ გააუქმა ხორვატიის და სლოვენიის ავტონომია.

— პოლონეთის პარლამენტმა უარი განაცხადა ლვოვში უკრაინული უნივერსიტეტის გახსნაზე.

— ესპანეთის დირექტორიამ სასტიკი რეჟიმი შემოიღო დატუსაღებულ რევოლიუციონერებისათვის.

— შვეიცარიაში ჩავიდა სამხრეთ-სლავიიდან გაქცეული ხორვატიის გლეხთა პარტიის ბელადი რადიჩი.

— გერმანიაში გრძელდება რკინისგზელთა გაფიცვა.

ელდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 263 (1118)

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის გზები

ჩეხო-სლოვაკია საბჭოთა კავშირს იცნობს იანვრის დასაწყისში

სკოვში ჩავიდნენ მექსიკის და მონღოლეთის ელჩები.—საფრანგეთის გაზეთები დიდ ინტერესს იჩენენ ჭოთა კავშირისადმი.—სუვორინის ორგანო „ვეჩერნეე ვრემია“ იხურება.—სპარსეთის გამოფენაზე იგზავნება ჩვენი საქონელი.

რთიერთობა ჩეხო-სლოვაკიასთან

აგა, 16 ნოემბ. ლეგიონერთა
ნო „ნაროდნი ოსვობოჟდენი“
ხოვს საბჭოთა კავშირის დაუ-
ბლივ ცნობას. გაზეთი სწერს:
თა კავშირის ცნობას ემხრობა
ს ხალხის დიდი უმრავლესობა
ველა პარტიები, გარდა ნაციო-
ემოკრატებისა“.

გაზეთი აღნიშნავს ფართო მასების აღშფოთებას ემიგრაციის წინააღმდეგ და ამბობს, რომ ყოველგვარ პოპულიარობას მოკლებულია ორიენტაცია ემიგრაციაზეო.

პრაგის პრესის ცნობით საბჭოთა კავშირის ოფიციალური ცნობა მოხდება არა უგვიანეს იანვრის დასაწყისისა.

მოლაპარაკება გერმანიასთან

სკოვი. 16 ნოემბ. 15 ნოემ-
გაიხსნა საბჭოთა კავშირის და
ნიის წარმომადგენელთა კონ-
ნცია სავაჭრო ხელშეკრულე-
ბის დასადებად.
ომა გაიხსნა ამხ. კრასინის სი-
თ; ამხ. კრასინი ესალმება კონ-
ნციას საბჭოთა კავშირის მთავ-
ს სახელით და ეხება მთავარ

მიზნებს და ამოცანებს ორივე ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის დარგში.

საპასუხო სიტყვაში გერმანიის ელჩი გრაფ ბროკდორფ რანცაუ მადლობას უხდის მისალმებისათვის და იმედს გამოსთქვამს, რომ წარმატებით დამთავრდება მოლაპარაკება.

კონფერენციის შემდეგი სხდომა შესდგება 17 ნოემბერს.

დამოკიდებულება საფრანგეთთან

რიზი, 16 ნოემბ. საფრანგეთის
თები დიდ ინტერესს იჩენენ
თა კავშირისადმი. ახე, მაგა-

ლითად, „ექსელსიორ“-ი ბეჭდავს წერილს, რომელიც ესალმება კრასინის დანიშვნას ელჩათ პარიზში.

თეთრებს გაუჭირდათ

რიზი, 16 ნოემბ. პარიზში მყოფ
ი ემიგრანტები ამტკიცებენ,
სუვორინის ორგანო „ვეჩერ-

ნეე ვრემია“ უახლოეს დროში დაიხურება საშუალებების უქონლობის გამო.

მექსიკის ელჩი

სკოვი. 16 ნოემბერი. მოსკოვ-
ჩამოვიდა მექსიკის ხაგანგებო
ი ვოდელიო. სადგურში ელჩს
ენ გარეშე საქმეთა სახალხო
სარიატის ინგლის-რომანულ გან-
ილების გამგე ამხ. კოგანი, ამხ.
რინსკი და ინგლის-რომანულ

განყოფილების თანამშრომელი—დუხოვინი. იმავე დღეს ელჩი მიიღო ამხ. ჩიჩერინმა.

მახლობელ დღეებში ელჩი გადასცემს რწმუნების სიგელებს საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. კალინინს.

მონღოლეთის წარმომადგენელი

მოსკოვი. 16 ნოემბ. 14 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა მონღოლეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იავონ დახანი. მასთან ერთად ჩამოვიდა აგრეთვე მონღოლეთის სამხედრო მინისტრი არტინ-ბატონ-მაკორჯაბი.

ჩვენი საქონელი სპარსეთის გამოფენაზე

მოსკოვი, 16 ნოემბ. სასოფლო-სამეურნეო იარაღების სინდიკატმა გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოფენაზე, რომელიც თეირანში გაიხსნება. თეირანში გაიგზავნა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დიდი პარტია, რომლის ნაწილი გამოყენებული იქნება გამოფენისათვის, ნაწილიც გაიყიდება.

მშრომელთა მოღალატეები

მოსკოვი, 16 ნოემბ. „ფორვერტს“-ის განცხადების გამო პერსელის სიტყვის სიყალბის შესახებ, „ინტერნაციონალ პრესსე კორესპონდენტ“-ის რედაქციაში, როსტას თანამშრომელს შემდეგი განუცხადეს:

„გერმანიაში ამჟამად მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისეთი თვალსაჩინო და გავლენიანი მოღვაწის გამოსვლა, როგორიც არის პერსელი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ართმევს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღს. ინგლისის დელეგაციის მიერ პატივისცემა რუსეთის რევოლიუციისათვის უდიდესი ლახვარია „ფორვერტს“-ისა და მისი კამპანიისათვის. ისინი სარგებლობენ ყოველგვარი ქორებით, რომ შეასუსტონ პერსელის სიტყვის შთაბეჭდილება მუშათა მასებში.

დღევანდელი ფოსტით ჩვენ „ფორვერტს“-ის რედაქციას გაუგზავნეთ პერსელის სიტყვის სტენოგრამა, შემოწმებული და ხელმოწერილი პირადათ პერსელის მიერ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ „ფორვერტს“-ის რედაქციამ გამოაქვეყნოს სიტყვის სწორი ტექსტი, რათა გერმანიის მუშებს საშუალება მიეცეთ დარწმუნდენ იმაში, თუ ვინ მიმართავს სიყალბეებს.

პერსელის განცხადება

მოსკოვი. 16 ნოემბერი. პერსელი „როსტას“-ს თანამშრომლებთან საუბრის დროს შეეხო „ფორვერტს-ის განცხადებას იმის შესახებ, თითქოს ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაციის თავმჯდომარის სიტყვა, წარმოთქმული პროფკავშირთა მოსკოვის ყრილობაზე, „წარმოადგენს სიყალბესო და სთქვა:

„ფორვერტს“-ის განცხადება წარმოადგენს ისეთ უაზრობას, რომ მასზე არ ღირს ბევრი ლაპარაკი. ჩემი სიტყვა, წარმოთქმული საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მეექვსე ყრილობის გახსნაზე, სრული სისწორით არის გადაცემული მოსკოვას გაზეთების მიერ. ის წარმოადგენს გაგრძელებას იმისას, რასაც მე ვამბობდი და ვაკეთებდი ამსტერდამის ინტერნაციონალის ვენის კონგრესზე და პროფკავშირთა გულლის კონგრესზე“.

ნახა. მას გამოელია ს[illegible]ნავი და ძირითადი თანხაც.

ამავე დროს კი შეუდარებლათ გაიზარდა კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლების დროს, განსაკუთრებით მიმდინარე პერიოდში. დაპყრობა ბაზრის განდევნა კერძო ვაჭრის და მოსახლეობის მოთხოვნილებათა სავსებით დაკმაყოფილება, — ასეთ ამოცანას აკისრებს მომხმარებელ კოოპერაციას მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

ცხადია, ამ ამოცანის გადაჭრა დიდძალ საშუალებებს მოითხოვს. კოოპერაციას კიდეც რომ შერჩენოდა ომის წინანდელი საშუალებანი, ეს ოდნავადაც არ იქნებოდა საკმარისი მისი დღევანდელი, უსაზღვროთ გაფართოებულ და გაზრდილი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მაგრამ ჩვენ ვთქვით, რომ მთელ რიგ გარემოებათა მიზეზით, კოოპერაციის საშუალებები თითქმის სავსებით ამოიწურა და მისი მდგომარეობა გაუარესდა.

აქ აუცილებელი შეიქნა მთავრობის ფართე დახმარება. მიზანი საბჭოთა კოოპერაციის და საბჭოთა სახელმწიფოსი ერთი და იგივეა—კერძო კაპიტალის დამარცხება და სოციალიზმის განხორციელება. როგორც ამხ. რიკოვმა განაცხადა თავის ხსენებულ მოხსენებაში, „[illegible]რაციის ზრდის გარეშე სოციალ[illegible] ვერ დავამყარებთო.“ აქედან ჩვენს კოოპერაციას ენიჭება უდიდესი სახელმწიფოებრივ - საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამიტომაც მთავრობა უწევს მას უხვ დახმარებას კრედიტის სახით.

მაგრამ კოოპერაცია არ უნდა იყოს სახელმწიფოს მუდმივი შემყური. მისთვის მიცემული კრედიტი მან უნდა გამოიყენოს საკუთარ ფეხზე დასადგომად და თავის დასაღწევად იმ კრიზისიდან, რომელშიც კოოპერაცია იყო ჩავარდნილი. უამისოდ კოოპერატივი სახელმწიფო-სავაჭრო დუქანს დაემსგავსება. კოოპერატივის მიერ სახელმწიფოსაგან საქონლის ნისიათ აღება და მისი გაყიდვა მომხმარებელზე საკმარისი არ არის, ეს ნისია დროზე უნდა იქნეს განაღდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ამით საბოლოო ანგარიშით მრეწველობა დაზარალდება, მისი აღორძინება-გაფართოვების საქ- შეფერხდება.

მიტომ, ვიმეორებთ, კოოპერაცია უნდა დადგეს საკუთარ ფეხზე. მან უნდა გააძლიეროს თავისი საშუალებანი. რა გზით შეიძლება ეს? კოოპერაციამ უნდა მოახერხოს მთელი მშრომელ[illegible] მოსახლეობის შემოკრება ლეობ[illegible] ამ გზით გაიზრდება კოოპერაციის თანხა და სახელმწიფოს არ მოუნდება ამოდენა კრედიტის დაბანდება მასში.

შემდეგ: კოოპერაცია გატაცებულია ბაზრის ერთბაშად დაპყრობის სურვილით და ანგარიშს არ უწევს თავის მატერიალურ შესაძლებლობას. ხსნის ახალ-ახალ დუქნებს და უფრო ვალიანდება სახელმწიფო მრეწველობის მიმართ. უმჯობესია ცოტა, მაგრამ უკეთესი,—ასე გვასწავლიდა ამხ. ლენინი. კოოპერაციამ უნდა გააფართოვოს თავისი მოღვაწეობა თანდათანობით, თავის ეკონომიური მოღონიერების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მივიღოთ მხოლოდ დროებითი ეფექტი მაგრამ საქმე საბოლოო ანგარიშით ჩაიფუშება.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ კოოპერაცია კიდებს ხელს მრავალ წამოწყებებს, საწარმოო სამუშაოს, რომელიც აუარებელ საშუალებებს მოითხოვს. ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო—ნათქვამია, აქაც საჭიროა მადის შეკვეცა და კოოპერაციის რესურსების სწორი გათვალისწინება.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ კოოპერაციის შტატი ჯერ კიდევ არ არის ყველგან დაყვანილი შესაძლებელ [illegible]მუმამდე და ჯამაგირსაც შედა[illegible]ით მაღალი განაკვეთებით იღებენ. არის სხვა ისეთი ხარჯებიც, რომელთა შემცირება მოსახერხებელია თუ საჭირო ზომები იქნება მიღებული.

ყველა ამ ღონისძიებებით ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა კოოპერაცია უმთავრესად საკუთარი საშუალებებით გაუძღვება თავის საქმეს.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სახელმწიფო შემდეგშიც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს კოოპერაციის განვითარებას. მხოლოდ, როგორც ამხ. რიკოვი ამბობს, „ასეთი დავალიანების დროს არ შეიძლება კოოპერაციისათვის ფინანსიური დახმარებას საქმის ძველ პირობებში დატოვება“.

სახელმწიფოს არ შეუძლია ამდენი დავალიანების ატანა; მით უმეტეს მისი უფრო გადიდება. ამიტომ, კოოპერაციამ უნდა აიღოს მტკიცე გეზი საკუთარი საშუალებათა გაძლიერებისაკენ. პარტიამ, ხელისუფლებამ, კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა ამ გარემოებას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება.

ში ისე აღმოსავლეთში. [illegible]

ჩვენ გამოვდივართ, როგორც ამერიკის მტრის მტერი. ამიტომ გასაგებია, რომ ამერიკა ჩვენ შაქრით შეზავებულ რძით გვიმასპინძლდებოდა, როდესაც საკუთარი ქვეშევრდომები ემუშევრობაში პირმიცემულნი, ლუკმა პურისთვის ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდენ.

ამასთან ერთად, რამდენათაც საბჭოთა რესპუბლიკები წარმოადგენს არა მარტო ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მებრძოლ ძალას, არამედ სოციალისტური ბრძოლის რეზერვუარს, რომელიც ძირებითად უპირისპირდება საერთოდ კაპიტალიზმს—მაშასადამე, ამერიკის კაპიტალიზმსაც — იმდენათ ჩვენი [illegible]ს.

ამ მოვლენას ხედავს „იანკის“ შორსმჭვრეტელი თვალი.

ამერიკის სამრეწველო წრეებს თუ პირდაპირ ისე არ ესაჭიროება ჩვენი ნედლი მასალა, როგორც ინგლისის მრეწველებს, სამაგიეროთ მათ აქვთ ანგარიში, რომ ინგლისმა დიდათ არ ისარგებლოს ჩვენით, ხოლო საქონლის გასაღების მხრივ ამერიკა კიდევ უფრო ძლიერ ეძებს ბაზრებს, ვიდრე ინგლისი.

ამ ინტერესთა ხლართში ინასკვება ჩვენი ცნობის საკითხი ამერიკაში. როგორია პერსპექტივები? ამაზე შემდეგ.

სერ. ამაღლობელი.

„სოციალისტები“ ბურჟუაზიის ტყვეობაში

რომ ე. წ. სოციალისტები ბურჟუაზიის სამსახურში იმყოფებიან, ეს „ძველისძველი ამბავია“. იმპერიალისტურ ომში მათ საბოლოოდ აიხადეს ნიღაბი, სამარცხვინოდ გასცეს მუშათა კლასი და გადაბარგდნენ მის მტრის ბანაკში.

ომის მომყოლი წლების „მოღვაწეობით“ „სოციალისტებმა“ უფრო განამტკიცეს თავიანთი დამსახურებული სახელწოდება ბურჟუაზიის ლაქიისა და კაპიტალისტური წყობილების დამცველისა.

დღეს ევროპაში ბურჟუაზია ინარჩუნებს ძალა-უფლებას „სოციალისტების“ აქტიური დახმარებით.

ინგლისში „მუშათა“ პარტია, როცა ის მოექცა ხელისუფლების სათავეში, „ღირსეულად“ შეასრულა კაპიტალისტების დავალება—ბრიტანეთის იმპერიალიზმის „პრესტიჟის“ და ტრადიციების დაცვა და მუშათა კლასის დაშოშმინება. ხოლო როცა ეს „მოვალეობა“ მოიხადა მაკდონალდის მთავრობამ, მას გარედ გაუძახეს.

გერმანიაში სოციალ-დემოკრატები აქტიურად უჭერდნენ მხარს მარქს—შტრეზემანის მთავრობას. მათი დახმარებით გაიყვანა უკანასკნელმა რეიხსტაგში დოუესის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს გერმანიის „მშვიდობიან“ გაძარცვას ინგლის-ამერიკის კაპიტალის მიერ.

სოციალ-დემოკრატიისავე აქტიურ დახმარებით და მონაწილეობით გერმანიაში ხდებოდა და დღესაც ხდება კომუნისტების მასიური დევნა-დაპატიმრება.

აიღეთ საფრანგეთი. იქ „სოციალისტებმა“ ამ დღეებში ერთხელ კიდევ გამოიჩინეს ბურჟუაზიის წინაშე. დეპუტატთა პალატაში ირჩეოდა მთავრობისათვის საიდუმლო ფონდის მიცემის საკითხი. კომუნისტებმა შეიტანეს წინადადება ამ ფონდის მიცემაზე უარის თქმის შესახებ. „სოციალისტებმა“ კი მხარი დაუჭირეს მთავრობას, შეეშინდათ, რომ იგი უმცირესობაში დარჩებოდა პარლამენტში და დამარცხდებოდა.

აქ საგულისხმო ის არის, რომ „სოციალისტებს“, რომელნიც თანამშრომლობენ ბურჟუაზიასთან, ყოველთვის იყენებს ეს უკანასკნელი თავის მიზნებისათვის, როგორც იარაღს, უმორჩილებს თავის პოლიტიკას. რადიკალ-დემოკრატებსა და „სოციალისტებს“ შორის საფრანგეთში ფორმალურად ერთგვარი შეთანხმებაა მოღწეული: გულუბრყვილო კაცი იტყვის, თუ შეთანხმებაა, ურთიერთ კომპრომისს, დათმობას აქვს ადგილი ამით „სოციალისტებიც“ რამეს გაიყვანენ თავისას და ბურჟუაზიულ პარტიასაც გამოიყენებენ ამისათვისო. სინამდვილეში კი ეს „შეთანხმება“ არის „სოციალისტების“ სრული დაქვემდებარება ბურჟუაზიისადმი; ისინი ყოველთვის კუდში მიჩანჩალებენ მას და მის საქმეს აკეთებენ.

და ეს იმიტომ, რომ ამ ვაჟბატონებს, როგორც წვრილი ბურჟუაზიის და არა პროლეტარიატის წარმომადგენლებს, არ გააჩნიათ საკუთარი პოლიტიკა და ნებისყოფა. მათი „სოციალიზმიც“ უფერულ სიტყვიერებას არ სცილდება. მათ აფრთხობს გაშლილი კლასობრივი ბრძოლა. გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის უმაგრებენ ზურგს ბურჟუაზიას.

ასე ხდება ყველგან, სადაც „სოციალისტებს“ რაიმე ძალა შესწევთ. სანამ მუშათა კლასი საბოლოოდ არ შეიგნებს ყვითელი ინტერნაციონალის პარტიების ასეთ როლს და ერთხელ და სამუდამოდ არ შეაქცევს მათ ზურგს, მანამდე მისი განთავისუფლება ბურჟუაზიის უღლიდან შეუძლებელია.

ევროპის ჩვენი პარტიების მუშაობაც იქითკენაა მიმართული, რომ პროლეტარიატის შეგნებაში გააშიშვლონ სოციალ-მოღალატეების ქვემძრომი ბუნება და დააყენონ ის აშკარა კლასობრივი ბრძოლის გზაზე.

X.

ანხეთქილება ლიბერალებს შორის

„ლოიდ-ჯორჯი არ არის პარტიის ბელადი“

ლიბერალებმა დაჰკარგეს ნდობა მასაში

მოსალოდნელია ინგლისის ლიბერალების ნაწილი გადავიდეს კონსერვატორებთან, ხოლო მეორე ნაწილი—მუშათა პარტიასთან

ლონდონი. 16 ნოემბერი. ლიბერალურ წრეებში დიდი სენსაცია გამოიწვია ლიბერალის ვეჯვუდ ბენის, პარლამენტის წევრის, წერილმა, რომელიც გამოქვეყნდა პრესაში. ის თავის წერილში ილაშქრებს ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ. წერილის ავტორი აცხადებს: საკმაო ორგანიზაციულობის უქონლობა არ არის არჩევნებში ჩვენი დამარცხების მიზეზი. მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ დავკარგეთ ნდობა. ხალხი არ ენდობა ლოიდ-ჯორჯს და სამართლიანადაც იქცევა. თვით უმთავრეს საკითხებშიაც, რომლებიც უშუალოდ დასმულია პარლამენტის წინაშე, ლოიდ-ჯორჯს არ აქვს სწორი პოლიტიკა.

ზოგიერთები ლოიდ-ჯორჯის მიმდევრების წრიდან ეხლანდელ პარლამენტში აცხადებენ, რომ ისინი მხარს დაუჭერენ კონსერვატიულ მთავრობას. ამის გამო მე მინდა გულახდილად განვაცხადო, რომ მე არ შემიძლია ვიცნო ლოიდ-ჯორჯი ლიდერად თემთა პალატაში არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ. იმისათვის, რომ კვლავ ფეხზე წამოვსდგეთ, ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი გზა, სახელდობრ: ჩვენ მომავალში გადაჭრით უნდა დავაღწიოთ თავი ყოველგვარ რყევას და ინტრიგებს“.

„დეილი გერალდ“ (მუშათა პარტიის ორგანო) ამ ინცინდენტს დიდ ადგილს უთმობს. გაზეთის აზრით, ვეჯვუდ ბენის წერილი ნიშნავს ლიბერალების საბოლოოდ გათიშვას, რასაც შედეგად მოჰყვება ლოიდ-ჯორჯის მიმდევრების შეთანხმება კონსერვატორებთან, ხოლო მემარცხენე ლიბერალებისა კი—მუშათა პარტიასთან.

ანტიფაშისტური მოძრაობა ესპანეთში

ბორდო. 17 ნოემბ. მადრიდიდან მიღებული ცნობით, 20 ესპანელი მუშა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ ყველა საჭირო პასპორტები და დოკუმენტები, გადაასახლეს საფრანგეთიდან. ცნობა მათი გადასახლების შესახებ მიღებულია ესპანელ კომუნისტების ბიუროს მიერ. იტყობინებიან, რომ ეს გადასახლება მოხდა საფრანგეთის და დე-რივერას მთავრობების შეთანხმებით. საფრანგეთის კომუნისტების განცხადების მიხედვით, გადასახლებულ ესპანელ მუშებს მეტ ნაწილს არავითარი წილი არ უდევთ ესპანეთის უკანასკნელ ამბებში. საფრანგეთის კომუნისტებმა საფრანგეთში მომუშავე ყველა უცხოელ მუშების სახელით შეიტანეს პროტესტი გადასახლების წინააღმდეგ, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ მუშებს უნდა მიეცეს მშვიდობიანი მუშაობის საშუალება, პოლიციის ყოველგვარი ჩარევის გარეშე.



გენერალი პრიმო დე-რივერა
ესპანელი დიქტატორი



მარკიზი დ-ესტელა
ფაშისტი, დე-რივერას მარჯვენა ხელი.

პარიზი. 16 ნოემბ. ესპანეთში პამპელუნის სამხედრო სასამართლოში ირჩეოდა იმ პირების საქმე, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ უკანასკნელი მღელვარების დროს. პროკურორი მოითხოვდა სამი ბრალდებულის სიკვდილით დასჯას.

რეაქცია სამხრეთ-სლავიაში

პირველი ნაბიჯი.

ვენა, 16 ნოემბ. პაშიჩის მთავრობამ გააუქმა ხორვატიის და სლოვენიის ავტონომია, რომელიც აღდგენილი იყო დავიდოვიჩის მთავრობის მიერ რადიჩის პარტიის შუამდგომლობით.

რადიჩი შვეიცარიაში.

ვენა, 16 ნოემბ. ზაგრებიდან მიღებული ცნობით, რადიჩი ჩავიდა შვეიცარიაში და ჟენევაში დაარსა ბიურო, რომელიც ევროპის საზოგადოებრივ აზრს ინფორმაციას მიაწოდებს ხორვატიის მდგომარეობის შესახებ.

ესტონელ კომუნისტების პროცესი

კომინტერნის მოწოდება თეთრი ტერორის წინააღმდეგ

ესტონეთის სასამართლოს კომედია

149 კომუნისტის გასამართლების გამო კომინტერნისა და კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის აღმასკომებმა გამოუშვეს მოწოდება მთელი ქვეყნის მუშებისადმი, რომელშიც ნათქვამია: „სპეკულიანტებისა და ქვეყნის მყვლეფავთაგან შემდგარი ესტონიის მთავრობა ასამართლებს მუშათა კლასის რევოლიუციურ ნაწილის მტკიცე და მედგარ წარმომადგენლებს. ესტონიის ბურჟუაზიის გაკოტრებულმა ხელისუფლებამ დაიწყო თავისი ქვეყნით ვაჭრობა, რომ იგი მონათ ჩაუგდოს ხელში ინგლისის კაპიტალისტებს. მაგრამ ბურჟუაზიის ამ მოღალატურ განზრახვას ესტონიის ღარიბ-ღატაკ მასსების საზარალოთ—ენერგიულათ წინაღუდგა ესტონიის რევოლიუციონური პროლეტარიატი. ამიტომ ბურჟუაზიულმა მთავრობამ გადასწყვიტა, რითაც უნდა დაუჯდეს, სასტიკათ გაანადგუროს მუშათა მოძრაობა ესტონიაში.

ყველა ქვეყნის მუშებო! თქვენმა გამოსარჩლებამ არა ერთხელ შეაჩერა მუშათა ბელადებისთვის მოქნეული ხმალი. ნურც ეხლა მისცემთ [illegible] ესტონიის ჯალათებს, რომ მსხვერპლათ შესწირონ ესტონიის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები.

დახვრე[illegible]ი სიმართლის გულისთვის.

რეველი. [illegible]6 ნოემბ. 15 ნოემბერს ღამით დახვრიტეს სახელმწიფო საკრებულოს ყოფილი წევრი იან ტომ- [illegible] ლოს შეურაცხყოფაში, რომელიც გამოიხატებოდა შემდეგში: როცა სასამართლოს თავმჯდომარე შეეკითხა—დამნაშავეთ სცნობს იგი თავს თუ არა, მან უპასუხა: „გათახსირებულ ბურჟუაზიულ მთავრობის სასამართლოს წინაშე მე ჩემ თავს დამნაშავეთ არა ვსცნობ“!

მოსყიდული პრესა.

ჰელსინგფორსი, 16 ნოემბ. ესტონელ კომუნისტების გასამართლების გამო, ფინეთის მემარჯვენე პრესამ განგაში ასტეხა იმ „საშიშროების“ შესახებ, „რომელსაც უქადის ფინეთს კომუნიზმი“.

„უსი სუომი“ წინადადებას იძლევა, შვეიცარიის ლიგის მაგალითის მიხედვით, დაარსებული იქნეს ჩრდილოეთის ქვეყნების ორგანიზაცია, რომელმაც უნდა იბრძოლოს კომუნიზმის წინააღმდეგ. გაზეთი სწერს: „საბჭოთა რუსეთი ჯერ-ჯერობით გარშემორტყმულია არარევოლიუციონური ქვეყნებით, რომელთა შორისაც ჩვენ უნდა გავიკაფოთ გზა. მაგრამ ეს ზღუდე საკმარისი არ არის“.

„ჰელსინგინ სანომატ“-ი ბეჭდავს რეველიდან მიღებულ დეპეშას და სწერს, რომ ბრალდებულთა დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ არსებობდა კავშირი, რომლის მიზანი იყო აჯანყების მოწყობა ფინეთში. ეს კავშირი, თითქოს, მოქმედობდა მოსკოვიდან მიღებულ დირექტივების მიხედვით.

ერთიანი ფრონტისათვის

პრაგა, 16 ნოემბ. პრაგაში შესდგა მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი. ყველა ორატორები ხაზს უსვამდენ, რომ ავსტრიის რკინისგზელთა გაფიცვა გაფრთხილებაა ჩეხო-სლოვაკიის ხელმძღვანელ წრეებისათვის; მათ ბოროტათ არ უნდა გამოიყენონ რკინისგზელთა და სახელმწიფო მოსამსახურეების მოთმინება. ავსტრიის რკინისგზელთა გაფიცვამ დაამტკიცა ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნის აუცილებლობა.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს რკინისგზელებს და სახელმწიფო მოსამსახურეების ყველა ორგანიზაციებს [illegible]ხოვნილება წაუყენონ [illegible]ობას შრომის ხელფასის გა[illegible] შესახებ; ამასთანავე [illegible]ლიუცია მოუწოდებს მათ [illegible] და გეგმაშეწონილი კამ[illegible]აწარმოონ ამ მოთხოვნილების [illegible]ორციელებისათვის.

ჩეხო-სლოვაკია იარაღდება

პრაგა. 16 ნოემბ. ჩეხიის პარლამენტის საბიუჯეტო კომისიაში გრძელდება 1925 წლის ბიუჯეტის განხილვა. ყველა გერმანულმა პარტიებმა დემონსტრატიულათ დასტოვეს კომისიის სხდომა.

სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს, ჩეხის სოციალ-დემოკრატები გამოვიდნენ მოთხოვნილებით შეიარაღების შემცირების, სამხედრო გემების გაუქმების და არმიაში საფრანგეთის გავლენის სრულიად მოსპობის შესახებ. ნაციონალ-დემოკრატები მოითხოვენ ჯარისკაცებისათვის მინიჭებულ საარჩევნო უფლების გაუქმებას. სამხედრო მინისტრმა კატეგორიულათ უარყო პროექტები სამხედრო ბიუჯეტის, სამხედრო სამსახურის ვადის და ჯარების რიცხვის შემცირების შესახებ. მიესალმა რა საფრანგეთის სამხედრო მისიის მოღვაწეობას მინისტრმა იმავე დროს ხაზი გაუსვა იმას, რომ არმიის ხელმძღვანელობა ფრანგების ხელიდან თანდათან ჩეხის სარდლობის ხელში გადადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფკავშირების საკავშირო მეექვსე ყრილობა

საბჭოთა კავშირის მუშების მაგალითს უნდა მიჰბაძოს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატმა

ყრილობის საპატივსაცემლოდ მოსკოვის პროლეტარიატმა გამართა მანიფესტაცია

კოოპერაციის მორიგი ამოცანები.—ორგანიზაციული საკითხები.—ყრილობამ აირჩია რამოდენიმე სექცი

„რუსეთის მუშებისაგან მთელი ქვეყნის მუშებმა მაგალითი უნდა აიღონ“.

„რუსეთის მუშათა კლასმა აირჩია სწორი გზა

მოსკოვი, 15 ნოემბ. საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მე-6 ყრილობის 15 ნოემბრის სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები: მუშათა კოოპერაციის მორიგი ამოცანების, კულტმუშაობის ამოცანების და საორგანიზაციო საკითხის შესახებ.

მუშათა კოოპერაციის ამოცანები

მუშათა კოოპერაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ცენტროსოიუზის მუშათა კოოპერაციის ცენტრალური სექციის გამგემ, ამხ. ხაზაროვმა. მოხსენებიდან სჩანს, რომ ქვედა საფეხურის მუშათა კოოპერაციის ზრდის და განმტკიცების პროცესი ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, 1923 წელში კოოპერაციას ჰქონდა სულ 1897 ქვედა საფეხურის ორგანიზაცია და 3.216 დუქანი, 1924 წლის მეორე ნახევარში კი იყო 1098 ქვედა საფეხურის ორგანიზაცია და 6.384 დუქანი. 352 კოოპერატიული ორგანიზაციაში საშუალო ბალანსი მიმდინარე წლის იანვარში უდრიდა 42.500 მანეთს. ეხლა კი ის შეადგენს 93.000 მანეთს, რაც გვიჩვენებს კოოპერაციის ბრუნვის ზრდას. კოოპერაციის მუშაობაში ამჟამად ჩაბმულია 2.353.000 კაცი, რომელთაგან 62 პროც. კავშირების წევრებია. კოოპერაციის ფასები საბაზრო ფასებზე ნაკლებია, კერძოთ კი კოოპერატიული პურის ფასები თითქმის 25 პროც. ნაკლებია, ვიდრე საბაზრო ფასები.

მომხსენებელმა ციფრებით დაახასიათა კოოპერაციის განვითარება.

მომხსენებელი შეჩერდა კოოპერაციის ძირითად ამოცანებზე, რომლებიც მდგომარეობენ იმაში, რომ კოოპერაციის მუშაობაში ჩაბმული იქნენ მშრომელი მოსახლეობის მთელი 100 პროცენტი, კოოპერაციამ უნდა გაანაღდოს მუშათა ბიუჯეტის მთელი 100 პროც., მან უნდა გააძლიეროს მუშათა კრედიტი და კოოპერატიულ აღმშენებლობაში უნდა ჩაიბას მუშათა ფართო მასები.

საორგანიზაციო საკითხი

საორგანიზაციო საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. იაგლომმა, ის შეეხო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და დელეგატთა კრებების როლს და აღნიშნა რომ ყურადღების ცენტრში დასმული უნდა იქნეს წარმოების ეკონომიური მდგომარეობის საკითხები. შეეხო რა სოფლად მუშაობას, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა დახმარების გაწევა სრულიად რუსეთის მიწატყის და განათლების მუშაკთა კავშირებისათვის.

პროფკავშირების კულტმუშაობის ამოცანები

ამხ. სენიუშკინმა თავის მოხსენებაში კავშირების კულტმუშაობის ამოცანების შესახებ, აღნიშნა, რომ კლუბი არის მუშათა მასების საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი. 1923 წელში კლუბების რიცხვი უდრიდა 2.000, ეხლა კი ეს რაოდენობა გაიზარდა 2.500-დი. კლუბების წევრთა რიცხვი აღწევს 300.000 კაცს. საკლუბო მუშაობის 45 პროც. ეთმობა პოლიტიკური განათლების საკითხებს. კლუბები უნდა გახდენ მასიურ ორგანიზაციებათ. საკლუბო მუშაობა უნდა სწარმოებდეს ყოველგვარი ბალდატანების გარეშე, მას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ წევრების ინტერესი.

ბიბლიოთეკების რიცხვი აღწევს 3.000-მდე, წიგნების რაოდენობა მესამედით გაიზარდა, მკითხველ მასის რაოდენობა კი ორჯერ-სამჯერ გაიზარდა.

ამხ. სენიუშკინმა აღნიშნა, რომ სოფლად კულტმუშაობის წარმოების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ქოხ-სამკითხველოს. კავშირების მონაწილეობა სოფლის კულტურულ გაჯანსაღების საქმეში უნდა განხორციელდეს კულტურული დაკავშირების, შეფობის, იურიდიული დახმარების და სხვათა საშუალებით.

ყრილობის სექციები

მოხსენებების მოსმენის შემდეგ, ყრილობამ აირჩია შემდეგი სექციები. სატარიფო-ეკონომიური, სა ზაციო და კულტურულ-გა ლებელი.

მანიფესტაცია ყრილობის საპატივცემლოდ

მოსკოვი. 16 ნოემბერი. კავშირთა სახლის წინ მოსკოვის პროლეტარიატმა გამართა მანიფესტაცია საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მეექვსე ყრილობის საპატივცემულოდ. მრავალრიცხოვან დროშებს და პლაკატებს შორის მოსჩანდა შემდეგი წარწერები: **„გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მეექვსე ყრილობას! გაუმარჯოს ინგლისის პროფკავშირების დელეგატებს! სალამი ინგლისის პროლეტარიატს!“**

ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარემ პერსელმა მიმართა მანიფესტანტებს შემდეგი სიტყვით:

„დღევანდელი მანიფესტაცია, რომლის მოწამენი არიან ინგლისის პროფკავშირების წარმომადგენლები, არის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი მოსკოვის პროლეტ და საზოგადოდ საბჭოთა მუშების სულიერი განწყობ ის მოწმობს იმას, რომ საბჭ შირის მშრომელები ემხრობ მუშათა კლასის მთლიანობას, სიონალური მოძრაობის ბას.

ინგლისის მუშებიც მთ მომხრე არიან. ინგლისის ცია მთელი პროფმოძრაო ერთიანების მხარეზეა. ყვე ზრახვები და სურვილები ლია იქითკენ, რომ განხორ ეს მთლიანობა“.

პერსელის სიტყვა დაფა რე ოვაციებმა და მისალმებ ინგლისის პროფკავშირებისა მლებიც დაადგენ ერთიანი ფრონტის გზას.

ინგლისელი სტუმრები

მოსკოვი. 16 ნოემბ. პროფკავშირთა ყრილობაზე მყოფი ინგლისის დელეგაცია დაესწრო პროფკავშირთა მოსკოვის საბჭოს რწმუნებულთა კრებას. დელეგაციის გამოჩენას მქუხარე ტაშისცემით შეხვდა კრება.

ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარემ მისასალმებელ სიტყვაში ხაზ. გასმით სთქვა, რომ ის ძალიან მოხარულია აღნიშნოს საბჭოთა კავშირის უდიდესი მიღწევები, „რუსეთის მუშათა კლასი,—სთქვა პერსელმა—იძლევა მაგალითს, რომელსაც უნდა მიბაძოს მთელი მსოფლიოს მუშებმა. რუსეთის მუშათა კლასი,—ეს ვეებერთელა სარკეა, რომელშიაც ნათლად მოსჩანს ყველაფერი საუკეთესო, რაც კი არის მთელი მსოფლიოს მუშათა კლასში“. პერსელმა განაცხ ი ბედნიერია და ამაყობს საშუალება აქვს დაუკავშირ სეთის მუშათა კლასს—მსო უდიდესი საქმის პიონერს.

„როცა ჩვენ დავბრუნდებ სამშობლოში,—სთქვა პერსელმა—ვეტყვით ჩვენს ამხანაგ რომ სწორია ის გზა, რომე ჩიეს რუსეთის მუშებმა, რომ ექსპროპრიაცია უყვეს წა ყველა საშუალებებს“.

პერსელმა თავისი სიტყვა დაამთავრა ასე: **„გაუმარჯოს მუშათა კლასს! გაუმარჯოს ლიო პროლეტარიატს გამარ ერთიანობისა“.**

ედუარდ გრეი და ბრიტანეთის პოლიტიკა

ლონდონი, 17 ნოემბ. ედუარდ გრეიმ, ლიბერალების ერთ-ერთმა ლიდერმა, რომელიც ერთ დროს ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი იყო, ლონდონში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც შეეხო ინგლისის ახალშენების და მეტროპოლიის პოლიტიკას. გრეიმ სთქვა, რომ ინგლისის იმპერიის ყველა ნაწილების მიმართ უნდა სწარმოებდეს ერთი პოლიტიკა. ინგლისის იმპერიას უნდა



ედუარდ გრეი

ჰქონდეს ერთიანი ფრონტი დანარჩენ ქვეყნების მიმართ. ის ფიქრობს, რომ შესაძლებელია ახალშენების თვითმმართველობის დატოვება, მაგრამ საგარეო პოლიტიკაში ყველა ნაბიჯი შეთანხმებული უნდა იქნან ინგლისის პრემიერსა და ახალშენების წარმომადგენლებს შორის.

გრეიმ განაცხადა, რომ ინგლისი უკვე აღარ არის კუნძული იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ესმოდათ წინად. ინგლისის მონაწილეობა კონტინენტალურ ამბებში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ ოდესმე იყო. გრეის აზრით, ინგლისის მთავრობამ უნდა განუცხადოს ახალშენებს: ჩვენ გპირდებით თქვენ, რომ ყოველგვარ გაუგებრობის და დავის დროს უცხოეთის სახელმწიფოებთან ჩვენ მივმართავთ საერთაშორისო სასამართლოს, ერთა ლიგას და არბიტრაჟს. ეს ჩვენ გარანტიას [illegible] ნებით იძულებული მოულოდნელათ მონაწილეობა მიიღოთ დავაში“. ამაზე ახალშენებმა უნდა უპასუხონ: ეხლა, ამ განცხადების შემდეგ, ჩვენ კარგათ ვიცით, თუ როგორია ჩვენი მდგომარეობა. ჩვენ უერთდებით ინგლისის მთავრობის მიერ გამოთქმულ სურვილს და მხარს დაუჭერთ მას არბიტრაჟის პრინციპის ყოველმხრივ გასატარებლად, რასაც ჩვენ მოვითხოვდით უკანასკნელი საიმპერიო კონფერენციის დროს.

ლონდონი. 17 ნოემბერი. „სანდეი ტაიმს“-ის კორესპოდენტი აღნიშნავს, **რომ ინგლისის მთავრობის დეკლარაცია გამოქვეყნებული იქნება ახლო მომავალში.** ოთხშაბათს კაბინეტმა გადასწყვიტა, რომ თუმცა პალატა შესწყვეტს თავის მუშაობას თებერვლამდე იმ სხდომის შემდეგ, რომელზედაც გამოქვეყნებული იქნება მეფის სიტყვა. გაზეთის სიტყვით კამათს სამეფო სიტყვის გარშემო არ დასჭირდება ერთ კვირაზე მეტი. ამრიგად 18 დეკემბერს თემთა პალატა ალბად, შესწყვეტს მუშაობას, ამჟამად მთავრობა იხილავს საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის ჟენევის ოქმს და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხს, აგრეთვე „ზინოვიევის წერილის“ გარშემო შექმნილ ინციდენტს. აუსტინ ჩემბერლენმა, რომელიც მეთაურობს საგანგებო კომისიას, უკვე დაიწყო ამ ინციდენტის გამოძიება.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

ქალაქი ზინოვიევსკი.

მოსკოვი. 15 ნოემბ. **საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ქ. ელისავეტგრადს ამიერიდან დაერქვას ზინოვიევსკი.**

ო მიმოსვლა პარიზ-მოსკოვს შორის,

. 16 ნოემბერი. 14 ნოემბერს მაეროპლან „კორდონ ით“ ნ მოსკოვში ჩამოფრინდა ს საჰაერო აქციონერულ ოების დირექტორი ჟან-ლ მ აეროპლანს შეუძლია ს 8 მგზავრი. აქვს 3 მოტორი, დიო-ტელეფონი და სხვა მოწყობილობა: ელექტრონით განათება და სხვა.

საბჭოთა კავშირის მეგობრის მორელის ხსოვნას.

მოსკოვი. 14 ნოემბერს საკავშირო პროფკავშირთა ყრილობის დილის სხდომაზე ტომსკიმ აუწყა ყრილობას, რომ გარდაიცვალა ინგლისის მუშათა მოძრაობის მოღვაწე მორელი. ტომსკიმ დაახასიათა მორელის მოღვაწეობა რომელიც გამოიხატა ომის წინააღმდეგ ბრძოლაში და საბჭოთა კავშირისა და ინგლისის დაახლოვებისათვის ხელის შეწყობაში. ტომსკიმ აღნიშნა, რომ მორელის და მისი მეგობრების ენერგიული მუშაობის წყალობით შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირისა და ინგლისის შორის მოლაპარაკების განახლება და მისი დამთავრება ორივე მხარისათვის მისაღებ ფორმებში. ყრილობის სახელით ტომსკიმ თანაგრძნობა გამოუცხადა ინგლისის მუშებს.

ინგლისის დელეგაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მორელი ომის დროს ციხეში იყო მომწყვდეული. ინგლისის ციხეები, ისე კარგად არ არიან მოწყობილი, როგორც რუსეთში და ამიტომ ციხეში ყოფნამ ცუდი გავლენა მოახდინა მორელის ჯანმრთელობაზე და ბოლოს სიცოცხლე მოუსპო მას.

ამხ. კრასინი.

მოსკოვი, 15 ნოემბ. **გამოქვეყნდა საკავშირო ცაკის დადგენილება, რომლის თანახმად ამხ. კრასინი ინიშნება საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად საფრანგეთში და აგრეთვე რჩება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის თანამდებობაზე.**

შაქრის ქარხნის ამუშავება.

მოსკოვი, 16 ნოემბ. ამუშავდა შაქრის ქარხანა, რომელიც თავისი სიდიდით მეორე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში. ქარხანა დაამუშავებს ყოველ წლიურად 2 მილ. ფუთ ფხვნილ შაქარს.

ამიერ-კავკასიის ფედერაცი

საქართველო

აჭარისტანი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ბათომი. 15 ნოემბ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მთელს აჭარისტანში განაწილებულია შემდეგნაირათ: ქობულეთის მაზრა—5.000.000 მან., ჭოროხისა—4.200 მან., აჭარისწყალისა—1.000 მან., ქედისა—2.400 მან., ხულოსი—5.000 მან.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა.

ბათომი. 15 ნოემბ. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა აჭარისტანში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა. განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებული გეგმა შედგენილია ისე, რომ ოქტომბრის ათი წლის თავზე წერა-კითხვის უცოდინარობა სულ ერთიანად უნდა მოსპობილ იქნეს

კომუნალურ ბანკის განყოფილება.

ქუთაისი. 15 ნოემბ. **ნოემბრის ბოლო რიცხვებში ქუთაისში გაიხსნება თბილისის კომუნალურ ბანკის განყოფილება.**

ახალ-სენაკის პარტიული კონფერენცია.

ახალ-სენაკი. 16 ნოემბ. 14 ნოემბერს დასრულდა სამაზრო პარტიული კონფერენცია.

კონფერენციას დაესწრო 49 დელეგატი. დღის წესრიგში იდგა საკითხები: 1. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა; 2. ანგარიში სამაზრო კომიტეტის მუშაობის შესახებ; 3. სარევიზიო კომისიის ანგარიში; 4. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი: და 5. არჩევნები.

კონფერენციის საპატიო თ მარეებათ არჩეული იქნენ ამ ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი, ნიკიძე, მიხა ცხაკაია, მახა ხიანი

მოხსენება საერთაშორისო რეობის შესახებ გააკეთა ამხ. ნიკიძემ.

კონფერენციის პირველი [illegible] იო მუშა, მოსამსახურე და წითელარმიელი.

კონფერენციამ აირჩია სამაზრო კომიტეტი 17 კაცის შემადგენლობით.

სომხეთი

ერევანი, 17 ნოემბ. ახლო მომავალში კენაკირში იხსნება მეფუტკრეობის კურსები.

კრედიტი მერძევეთა არტელს.

ერევანი. 17 ნოემბ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მისცა სოფ. გიარ (ლორის-ბამბაკის მაზრა), 1.500 მანეთი მერძევეთა არტელის საშუალებათა გასაძლიერებლად.

არჩევნების წინ.

ერევანი, 17 ნოემბ. ყველა მაზრებში დამთავრდა სასოფლო საარჩევნო კომისიების ორგანიზაცია. მომავალ არჩევნებისათვის იბეჭდება პლაკატები და ლოზუნგები.

სომხეთის ბიუჯეტი.

ერევანი, 17 ნოემბ. მთელი შემოსავალი სომხეთში 1924—25 წლისათვის უდრის 1.019.210 მანეთს, გასავალი 2.680.000 მანეთს. დეფიციტი უდრის 1.660.780 მანეთს, ე. ი. მთელი ხარჯების 62,5 პროც.

ზემო-ავჭალაში

კვირას, 16 ნოემბერს დიდი ძალა მუშა-მოსამსახურე გაეშურა ზემო-ავჭალისაკენ განათხარში მტკვრის გადაშვების საყურებლად.

განათხარის საზეიმო გახსნა დანიშნული იყო დილის 10 საათისათვის, მაგრამ რადგან წინასწარი მომზადებული მუშაობა დამთავრებული არ იყო, მტკვრის შემკავებელ ბუნებრივი ჯებირების აფეთქება შეაგვიანდა.

სტუმრათ მოსულმა ხალხმა ისარგებლა ამ გარემოებით და შეუდგა შესრულებულ სამუშაოთა დათვალიერებას.

ყველას ანცვიფრებდა ის გრანდიოზული სამუშაოები, რომელიც ამ ერთი წლის განმავლობაში შეუსრულებია ხელმძღვანელებს და მუშებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს განათხარი, რომელიც წარმოადგენს ტინოსით გამაგრებულს ღრმა ხელოვნურ კალაპოტს, რომლის შუა ალაგს აშენებულია დიდი ბურჯი. ბურჯის ქედლებზე გაკეთებულია მეტრული საზომი წყლის დონის გამოსარკვევად. განათხარზე აგებულია რკინა-ბეტონის თაღიანი ხიდი.

ეს აუარებელი ხალხი გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს მტკვრის კლდოვანი ნაპირის ბურღვას, რომელიც სწარმოებს კომპრესორების შეკუმშულ ჰაერის დახმარებით.

ორ საათში კლდოვანი ნაპირი უკვე სავსებით დაბურღვილი იქნა. ეხლა მუშები შეუდგენ ხელოვნურ ჯებირების მოშლას. ერთი საათის განმავლობაში სამუშაოც შესრულებული იქნა.

ნაშუადღევის ორ საათზე ადმინისტრაცია აუწყებს ხალხს, რომ რამოდენიმე წუთს შემდეგ მოხდება კლდის აფეთქება.

ზღვა ხალხი ნახევერი ვერსის რადიუსით შორდება ასაფეთქებელ ადგილს.

მოუკიდეს ნაღმის პატრუქებს. რამოდენიმე წუთს შემდეგ საშინელი ხმაურით იგრიალა პირველმა ნაღმმა, მას მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე და ასე შემდეგ.

ნაღმმა იფეთქა დაახლოებით ოცჯერ. მაგრამ სალი კლდე იმდენად მკვიდრი გამოდგა, რომ ნაღმებმა ვერ შესძლეს სავსებით მისი აფეთქება და დანგრევა.

მდ. მტკვარმა არ ინება ძველი კალაპოტიდან ახალ ხელოვნურ კალაპოტში გადასვლა და მხოლოდ პატარა ნაკადით შეიჭრა განათხარში.

მეტად წარმტაცს სანახაობას წარმოადგენდა აფეთქების სურათი.

თითქოს მთელი მიწის ნიადაგი შეირყა და სივრცეში აყირავდენ კლდის უზარმაზარი ლოდები, რომელიც ზევიდან მძლავრად დაქანებული ტყლაშუნით ეშვებოდენ მტკვრის ოდნავ შეგუბებულ აუზში.

მძლავრმა ნაღმებმა ვერ გასტეხეს მტკვრის ჯიუტობა. მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ ერთიორად გაძლიერებული ძალა ნაღმებისა ქედს მოახრევინებს მტკვრის შეუპოვრობას.

№.

[illegible] უკვე ეულება მუშაობას.

პროფ. ლიუდინის ამოცანას შეადგენს რიონის რაიონში ჰიდრო-ელსადგურების პროექტების დამუშავება. პროფ. ლიუდინთან ერთად მუშაობს ტეხნო-გეოლოგი ვილდერი და გერმანიის უდიდესი ჰიდრო-ელექტრო-სადგურის „კახლეტ“-ის მთავარი ინჟინერი შავგაუერი. გარდა ამისა, ლიუდინს თანამშრომლებად მოწვეული ჰყავს სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგები და ინჟინრები.

პროფ. ლიუდინის მიერ დღემდე წარმოებულმა წინასწარმა გამოკვლევებმა გამოარკვიეს, რომ რიონის რაიონი თავის შენაკად რიცეულით და ცხენისწყლის რაიონი საუკეთესო ადგილებია სადგურების ასაშენებლად. თუ გამოყენებული იქნება ყველა შესაძლებლობანი, რომელსაც იძლევიან ამ რაიონების ბუნებრივი პირობები შეიძლება განზრახულ სადგურების ენერგია 400—500 ათას ცხენის ძალამდე იქნეს აყვანილი.

საჭირო გამოკვლევები და ძიებანი, აგრეთვე წინასწარი პროექტების შედგენა დასრულებული იქნება 1925 წლის გაზაფხულისთვის.

თუ პროექტები მიღებულ იქნა პირველი სადგურების აგება დამთავ-

პროექტით გათვალისწინებულ ელექტრო სადგურის მნიშვნელობა მეტად დიდია. იმის გარდა, რომ სადგურების აგებით მოხდება სურამის უღელტეხილის და ჭიათურის მაღაროების ელექტროფიკაცია, გარდა ამისა საფუძველი ჩაეყრება მთელს საბჭოთა კავშირში მრეწველობის ახალ დარგს—წარმოებას ფერომარგანეცისას, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ფოლადის დასამუშავებლად.

ამჟამად ქუთაისის რაიონში სწარმოებს წინასწარი მუშაობა—ადგილების დაგეგმა და გადაღება.

კვლევა-ძიების დამთავრების და სადგურების პროექტის წარდგენის შემდეგ, მოწყობილი იქნება ტეხნიკური ბიურო სააღმშენებლო მუშაობათა სახელმძღვანელოდ.

კვლევა-ძიების და პროექტების შედგენის გარდა პროფ. ლიუდინს დაკისრებული აქვს იმ ეკონომიურ სარგებლობათა გამორკვევა და განსაზღვრა, რომელიც უნდა მოჰყვეს ფერომარგანეცის წარმოების ორგანიზაციას. პროფ. ლიუდინის დასკვნით, იმ ცნობით რომელიც მას მოეპოვება ფერომარგანეცის წარმოების ორგანიზაცია დიდ ეკონომიურ პერსპექტივებს შლის ა/კავკასიაში.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

შაბათს, 15 ნოემბერს ინჟინერმა ამხ. მელიქ-ფაშაევმა ტეხნიკურ საინჟინერო ბიუროს მიერ მოწვეულ ინჟინერ-ტეხნიკოსთა საერთო კრებაზე გააკეთა მოხსენება სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის შესახებ. მოხსენებას თან ახლდა ქარტები და საჭირო გეგმები და ნახაზები.

მომხსენებელმა გააცნო იმ კვლევა ძიების შედეგები, რომელსაც აწარმოებდა ინჟინერთაგან შემდგარი კომისია ტყიბულის რაიონში. სპეციალურ კომისიას დაწვრილებით გამოურკვევია და შეუსწავლია მდ. შაორის რაიონი, რომელიც აკრავს მდ. ტყიბულის ბასეინს. მდ. შაორი და აგრეთვე მდ. ტყიბულა მიმდინარეობენ მეტად უმნიშვნელოდ დაფერდებულ შაორის დაბლობზე და შემდეგ შეუმჩნევლად ქრებიან კლდოვან ნაპრალებში. მიწის ქვეშ დინების შემდეგ ზემოხსენებული მდინარეები გამოდიან დაბალ ქედის ძირას, რომელიც ელობება მდინარეების დენას.

ამ მდინარეების თვისებათა შესწავლის შემდეგ დაიბადა აზრი ამ ორი მდინარის ბასეინის გაერთიანების შესახებ. სრულიად ადვილად, ცოტა თანხის გაღებით შესაძლებელი ხდება მდ. შაორისათვის წყალთსაცავის მოწყობა. წყალთსაცავიდან მდ. ტყიბულის კალაპოტში გადაშვება. მდინარეთა გაერთიანების და წყალთსაცავის მოწყობით შესაძლებელი ხდება მიღება წყალვარდნის რომლის სიმაღლე იქნება 500 მეტრი და რომლის გამოყენება შეიძლება მეორე ელსადგურისათვის. ამ სადგურზე დამუშავებული წყალი იდენს ტყიბულის სადგურისათვის მოწყობილ წყალსაცავში, რომელიც გამოყენებულ იქნება აგრეთვე ამ უკანასკნელი სადგურის ასამუშავებლად.

ბუნების მდიდარი პირობები, სადგურების აგების მეტად იაფად დაჯდომას წარმოადგენს იშვიათ გამონაკლისს მთელს ევროპაში. ამ ელსადგურით უნდა მოხდეს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია, რომლის დასრულება გამოანგარიშებით უდრის—7,994,613 მანეთს. მშვიდობიანი დროის კურსით აქედან მდ. ტყიბულაზე აგებული ცენტრალურ სადგურის აგებას სჭირია—3.049,070 მანეთი. გადამცემ-საჰაერო ხაზს—570,535 მანეთი, გზის ელექტრო იარაღებით მოწყობას—999,408 მანეთი. სტრანსფორმატორო ქვესადგურებს—939,403 მანეთს, ელექტრომატარებლებს — 2,139,000 მანეთი სულ მთელი ელექტროფიკაცია ჩერვონულ მანეთით ჯდება—14,903,303 მანეთი

სამმართველომ გაუკეთა [illegible] თავის ნამუშევარს 1923—24 წელში და შეადგინა მომავალი მუშაობის გეგმა. გასული სამეურნეო წელი (1923—24 წ.) საგზაო მშენებლობის საქმეში იყო ფრიად ნაყოფიერი წინა წლებთან შედარებით. ეს გარემოება აიხსნება მით, რომ გზატკეცილის სამმართველო საკმაოდ და თავის დროზე ღებულობდა თანხებს—საჭირო სამუშაობებისათვის.

ამ ხნის განმავლობაში აღდგენილი იქნა 8—12 ხიდი. დაწყებულ იქნა მდ. რუხის წყალზე და საკალზე (ოსეთის სამხედრო გზა). გაუკეთდა დიდი რემონტი გზის სატკეც მანქანებს.

დაიწყო ბეზობდალის, თბილის-თელავის, სამხრეთ-ოსეთის და აჭარისტანის გზების ტკეცა.

დაიწყო საავტომობილო მიმოსვლა სამხრეთ-ოსეთის გზატკეცილზე ქუთაისიდან მამისონამდე 156 ვერსის მანძილზე. ამ გზას ამჟამად დიდი მშენებლობა ეძლევა კურორტ „შოვის“ მოწყობის და ჩრდილოეთ კავკასიასთან სატრანზიტო მიმოსვლის დაწესების გამო.

[illegible] დიდი მუშაობა რების გასამაგრებლად. აგებულია აღდგენილია ჯებირები საგუბას საშველი კედლები.

თავის დროზე მიღებულ ღონ ძიებით მიღწეულია შეუწყვეტ მიმოსვლა ყველა გზებზე. მიუხედა ხშირი ავდრებისა და ნიაღვრე მუშაობა ამ ჟამადაც გრძელდება.

აღდგენილია და შეკეთ იმპერიალისტური და სამოქ ომების დროს დანგრეულ ს შენობები.

ცხინვალ-ჯავის რაიონში სწარ ებს აღსადგენი სარემონტო მუშა ჩრდილოეთ ოსეთთან მიმოს დამყარების მიზნით ჯავა-რაჭ იონში სწარმოებდა 30 ვერსის მანძილზე კვლევა-ძიება გზის გა ნად.

სიღნაღ-ლაგოდეხის გზატკეც რომელიც გაუვალია ავდრიან ში, სწარმოებს მოსამზადებელ შაობა მის აღსადგენად.

სექტემბერში დაიწყო თი გამოკვლევა ალ.ძირუ კეცილის გასაყვანად. გამოკვლ მანძილი 60 პროცენტამდე.

კომუნალური წყალსადენი
ყველა აბონენტების საყურადღებოდ
აცხადებს, რომ ვინაიდან სიცივეები იწყობა და მოსალოდნელია ზომების ყინვისაგან დაზიანება (ყინვისაგან იბერება და სამუდამოდ დება) ამიტომ თანახმად, არსებული წესისა იგინი მოვალენი არიან ბის ყინვისაგან დაცვას მიაქციონ ყურადღება და **შეახვიონ** თბილ ფალას სხვა რაიმეში ის; ყინვამ წყალსაზომები ყინვისაგან არ დააზიანოს.
ყველა იმ სახლებში, სადაც წყალსაზომები ყინვისაგან გაიბ აბონენტებს გადახდებათ საზომის სრული ღირებულების სათასური შესახებ აღძრული რაიმე შუამდგომლობა სრულიად არ იქნება განხ
წყ. დირექტორის მოადგილე ინჟინერი დიასამიძე.
კანცელარიის გამგე ქურთიშვილი. ნ. 250.

ლენინგრადის სახელმწიფო ელექტრო-მანქანის საალმშენებ
ტრესტი
თბილისი, სოლოლაკის ქ. № 2, ტელეფონი 8—20.
„ელმაშტრესტი
ყველაფერი ელექტროფიკაციისათვის
სოფლად, ქალაქში რკინის გზებზე, სამრეწველო წარმოებ
პროექტები ხარჯთ-აღრიცხვა, მოწყობილია, ტეხნიკ ზედამხედველ
კონსულტაცია
სპეციალურად: გამოკვლევები, პროექტები, ჰიდრო-ელ
ნის სადგურების მოწყობა. ნ. 90

პარტიული ცხოვრება

პოლიტიკური განმანათლებელი მუშაობა სოფლად

უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკური განმანათლებელი მუშაობა სოფლათ საგრძნობლათ მოისუსტებს მიზეზი ამისა მდგომარეობს იმაში, რომ დღემდე ამ მიმართულებით არ სწარმოებს გეგმიანი მუშაობა და ამასთანავე არ გვყავს შესაფერისი ხელმძღვანელები.

ამჟამად კი, როდესაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის უკანასკნელ გაფართოებულ პლენუმზე დაქრითი ამოცანად გამოაცხადა სოფლად მუშაობის გამოცხოველება და ამ მხრივ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პოლიტიკური განმანათლებელი მუშაობას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

მაგრამ როგორი გზისა უნდა წარიმართოს მუშაობა?

პარტიის მეცამეტე ყრილობამ სწორედ ამისთვის საუკეთესო საშუალებად სცნო სოფლად ქოხ-სამკითხველოებთან პოლიტიკური განმანათლებელი ცენტრების დაარსება.

რუსეთში ეს დადგენილება კიდეც ტარდება ცხოვრებაში და შეიძლება ითქვას, რომ მიღწევებიც მეტად საგრძნობი და დადებითია.

ჩვენში, საქართველოში მდგომარეობა ამ მხრივ არ არის სახარბიელო. მდგომარეობის ამ რიგად გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია.

სოფლათ პარტიული ორგანიზაციების წინაშე დღეს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით სდგას საკითხი ქოხ-სამკითხველოებთან პოლიტიკური განმანათლებელი ცენტრების შექმნის შესახებ, რომლის ირგვლივ უნდა მოხდეს გაერთიანება სოფლის ყველა კულტურულ ძალებისა და მუშაკების. ამ ცენტრებმა უნდა გამოიმუშავონ პოლიტიკური განმანათლებელი მუშაობის გეგმა და თავიანთ თემებში, სოფლებში კიდეც უხელმძღვანელონ ამ მუშაობას.

მაგრამ, კონკრეტიულათ როგორი უნდა იყოს და რაში უნდა მდგომარეობდეს ძირითადი ამოცანები ამ პოლიტიკური განმანათლებელი ცენტრების მუშაობისა?

როგორც ვიცით, ჩვენი გლეხობა პოლიტიკურად საგრძნობლათ ჩამორჩენილია. ეს უთუოდ დიდი ნაკლულევანება და არანორმალური მოვლენაა. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პოლიტიკური-განმანათლებელი ცენტრებმა სოფლის ფართო უპარტიო გლეხობას მიაწოდონ ინფორმაციები საბჭოთა კავშირის როგორც საერთაშორისო, ისე მის შინაურ მდგომარეობაზე. მათ უნდა განუმარტონ კომპარტიის ამოცანები სოფლად, მისცენ ცნობები საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ ღონისძიებებზე ამა თუ იმ დარგში. პოპულიარიზაცია უყონ საბჭოთა კანონმდებლობას და სხვა.

მხოლოდ ამასთანავე ერთად პოლიტიკური განმანათლებელი ცენტრების საშუალებით გაძლიერებული უნდა იქნას ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეთა ლიკვიდაციისათვის. მათივე საშუალებით უნდა ვაწარმოოთ სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდა. კერძოთ კი უნდა მოვაწყოთ სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წრეები, საუბრები, მოხსენებები, რათა შესაძლებელი გახდეს ჩვენი მეურნეობის კულტურული და მეცნიერულიწესით დამუშავება.

პოლიტიკური განმანათლებელი ცენტრებმა დიდი როლი უნდა ითამაშონ კოოპერაციის და გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტების პროპაგანდის საქმეშიაც.

პოლიტიკური-განმანათლებელი ცენტრები სოფლად აგრეთვე უნდა გადაიქცენ პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების კამპანიების ჩამტარებელ საშუალებებათ. გაზეთების გავრცელების და კედლის გაზეთების გამოშვების საქმე, რომლებსაც სოფლის მშრომელ გლეხკაცობის პოლიტიკურათ და კულტურულათ განვითარებაში მეტად დიდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს,— უნდა იკისროს და ინიციატივა აიღოს პოლიტიკური-განმანათლებელი ცენტრებმა.

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად პოლიტიკურ-განმანათლებელ ცენტრებს აქვთ ის მიზანი, რომ ის სოფლად გარდაიქცეს ახალი ყოფა-ცხოვრების გამტარებლათ გლეხ-კაცობაში.

აი მოკლედ ის ამოცანები რომლებიც ისახება პოლიტიკური განმანათლებელი ცენტრების წინაშე.

მაგრამ ამ პოლიტიკური განმანათლებელი ცენტრების შექმნა და მით პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობის გაჩაღება წარმოადგენს სოფლათ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ ძირითადს და მთავარ ამოცანას.

შ. ა.

დუშეთის მე-6 პარტკონფერენცია

ქ. დუშეთში 26 ოქტომბერს გაიხსნა სამაზრო პარტიული კონფერენცია. კონფერენცია გახსნა სამპარტკომის მდივანმა [illegible]. მისალმების სიტყვები წარმოსთქვეს ცკას, აღმასკომის და კომკავშირის წარმომადგენლებმა.

არჩეული იქნა პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო კომისია. საპატიო თავმჯდომარეებად კონფერენციამ აირჩია ზინოვიევი, ტროცკი, სტალინი, რიკოვი, კრუპსკაია, ორჯონიკიძე, მიასნიკოვი, მახარაძე და კვანტალიანი.

სამაზრო კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები:

1) მოხსენება საქართველოს შინაურ და საგარეო მდგომარეობაზე, 2) სამაზრო პარტიული კომიტეტის და ა. ლ. ქ. კავშირის ანგარიში; 3) სარევიზიო კომისიის და აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის ანგარიში; 5) უპარტიოთა შორის მუშაობა; 6) სასოფლო-სამეურნეო დარგში მუშაობა; 7) ფშავ-ხევსურეთში მუშაობის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კვანტალიანმა, რომელიც ვრცლად შეეხო საქართველოს შინაურ და საგარეო მდგომარეობას და უმთავრესად შეჩერდა საქართველოში მომხდარ უკანასკნელ „სახალხო აჯანყებაზე“. ამხ. კვანტალიანის მოხსენების გამო მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია რომელიც სხვათა შორის თავდება შემდეგნაირად: „ადგილობრივი ორგანიზაცია კი ყოველთვის ისეთ ღირსეულ პასუხს გასცემს ავანტიურისტულ გამოსვლებს, როგორიც გასცა წარსულში და ყოველთვის მზად იქნება და არის ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართ დასაცავად“

სამაზრო პარტიული კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ ხუხუა, რომელიც ეხება სამაზრო კომიტეტის მიერ წარმოებულ მუშაობას. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, სამაზრო კომიტეტი ყოველგვარ ზომებს ხმარობდა მუშაობის გაძლიერებისათვის. სამაზრო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სოფლად მუშაობის საკითხს და გლეხობაშიც სათანადო მუშაობას აწარმოებდა.

სამაზრო კომიტეტის განყოფილებანი თავიანთ დონეზე დგანან როგორც სააგიტაციო ქალთა განყოფილება, ისე საორგანიზაციო განყოფილებაც.

სამაზრო კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე სწავლა-განათლების საქმეს საერთოდ და კერძოთ ფშავ-ხევსურეთში. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. ამხ. ბრეგაძის მიერ ჩამოვლილი იქნა ეს რაიონები მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ღოღობერიძის თანხლებით. მთავრობამ გაიღო საჭირო თანხები და აშენებული იქნა სკოლებიც.

ამხ. ხუხუა შეეხო აგრეთვე მენშევიკების ავანტიურის პერიოდში სამკომის მუშაობას და აღნიშნა, რომ ჩვენი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები თავისი დანიშნულების სიმაღლეზე იდგნენ.

თანამომხსენებლად ა. ლ. ქ. კ სასამაზრო კომიტეტის მუშაობის შესახებ გამოკიდა ამხ. სალუქვაძე, რომელმაც ჯამი გაუკეთა წარსულ მუშაობას და მიუთითა კონფერენციის იმ მიღწევებზედ, რომლებსაც მიაღწია ახ. ლენ. სამკომმა თავისი მუშაობის დროს.

კერძოდ კი მათ დაუარსებიათ ორი ახალი რაიონი, გაუცხოველებიათ დანარჩენ რაიონებში მუშაობა.

ორგანიზაციულად კომკავშირი ძლიერად არის ჩამოყალიბებული—თვით მენშევიკური ავანტიურის ფაქტი ამის საუკეთესო დამამტკიცებელი იყო.

კომკავშირს აღმზრდელობითი მუშაობაც კარგად აქვს დაყენებული; აქვთ კლუბები, წრეები, დრამწრეები და სხვა. ავტორიტეტი სოფლის გლეხკაცობაში დიდია. მხოლოდ ნაკლულოვანება უმთავრესად მდგომარეობს იმაში რომ კავშირს არა ჰყავს სათანადო მუშაკები და ამასთანავე ერთად კავშირი განიცდის ნივთიერ უსახსრობას.

მოხსენებას სარევიზიო კომისიის სახელით აკეთებს ამხ. მამალაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ სამკომის მუშაობაში არავითარ დიდ შეცდომებს არ ჰქონია ადგილი.

შემდეგ სამაზრო პარტიული კომიტეტის მუშაობის შესახებ მიღებულ იქნა რეზოლიუცია და მუშაობაც დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. იოსებ ბრეგვაძემ.

„აღმასრულებელი კომიტეტი,—ამბობს ამხანაგი,—თავის მუშაობაში ხელმძღვანელობდა პლენუმების მიერ მიღებული გეგმით. აღმშენებლობით მუშაობას დიდ ყურადღებას აქცევდა აღმასკომი. გაკეთებული იქნა გზები, შეკეთებული ხიდები, სკოლები და სხვ. სწავლა-განათლების საქმეც ნორმალურადაა დაყენებული, მხოლოდ ამ მიმართულებით მუშაობის გაფართოებისათვის გვაბრკოლებს მასწავლებლების სიმცირე და უსახსრობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანმრთელობის საქმესაც.

მიწის საკითხი სავსებით მოგვარებულია.

შემდეგ ამხ. ბრეგვაძემ წაიკითხა აღმასკომის მომავალ მუშაობისათვის სადირექტივო გეგმა, რომელიც კონფერენციამ ერთხმად მიიღო.

მოხსენების დამთავრებისას გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ხუხუამ, ლალიაშვილმა, ჯარიაშვილმა, კვანტალიანმა და სხვებმა.

უპარტიოთა შორის მუშაობის შესახებ თეზისები წარმოადგინა ამხ. ქაჯაიამ, რომელიც კონფერენციამ ცოტაოდენი ცვლილებით დაამტკიცა.

სასოფლო-სამეურნეო დარგში მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხუხუამ. მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი თეზისები კონფერენციამ მთლიანად მიიღო.

დაბოლოს არჩეული იქნა სამაზრო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: 1. ბრეგაძე, 2. ბერბიჭაშვილი: 3. ვერძეული, 4. ლალიაშვილი, 5. ლაფანაშვილი 6. მამალაძე, 7. მგალობლიშვილი, 8. სალუქვა, 9. სუჯაშვილი, 10. ფერხული, 11. ხუხუა, 12. ჯარიაშვილი, 13. ქაჯაია. კანდიდატებათ: 1. ჩხუტიაშვილი, 2. მიქელოვი, 3. ბრეგაძე, 4. გელაშვილი, 5. ქარელიძე.

კონფერენცია გაგრძელდა ორ დღეს, რომელიც საგრძნობლად განსხვავდებოდა წარსულ კონფერენციებისაგან თავისი სერიოზული საქმიანობით და ცხოველმყოფელობით.

უსურვებთ ახლად არჩეულ სამაზრო პარტიულ კომიტეტს ენერგიულ მუშაობას.

„ლახალი“.

საქართველოს სატყეო მრეწველობა

საქართველოს ტყის მრეწველობის კონცენტრაციის და ტყეების ექსპლოატაციის წესიერ ნიადაგზე დაყენების მიზნით 1923 წელს მოეწყო საქ. სატყეო ტრესტი, რომლის დანიშნულებაც იყო ბაზარზე გამოეტანა კარგი ღირსების და იაფფასიანი ტყის დამზადებული მასალა.

1923—24 სამეურნეო წელს ტრესტმა თითქმის უფულოდ დაიწყო მოქმედება. 1 ოქტომბრისთვის მის განკარგულებაში იმყოფებოდა მხოლოდ 4,078 მანეთი. ფულად და დამზადებული ხე ტყის მასალა 248.336 მანეთი ღირებულებისა. ამ მასალის გადაზიდვა და საბოლოოდ დამზადება საჭიროებდა კიდევ დამატებით თანხებს. სხვადასხვა ორგანიზაციებზე და პირობებზე ტრესტს გაცემული ქონდა 151.531 მანეთის ხე-ტყე. ტრესტის ძირითადი თანხა, რომელიც შეიცავდა ფაბრიკების და სახერხავ ქარხნების ღირებულებას, უდრიდა 570.851 მანეთს.

მუშაობის საწარმოებლად ტრესტის განკარგულებაში იყო 4 ხე-ტყის დასამზადებელი რაიონი: ხაშურ-შორაპნის; აწყურის, ფოთის და კახეთის რაიონების 8 სახერხი ქარხანა (ფოთში 2 და თითო-თითო რედუტკალეში, შამქორში, ხონში, ნატანებში და თბილისში), ერთი გრეხილი ავეჯის ქარხანა და ორი საწყობი ქუთაისსა და ტფილისში.

სამეურნეო გეგმით ტრესტს განზრახული ქონდა დახერხილ მასალის, მორების შპალების და შეშის დიდი რაოდენობა, მაგრამ საბრუნავ საშუალებათ გამოძებნის შეუძლებლობამ ტრესტი იძულებული გახადა შემცირებია პროდუქცია, რადგან შეუძლებელი შეიქნა სატყეო ტრესტის ყველა ტყის დამამზადებელი რაიონების გამოყენება.

იმის გამო, რომ ხე-ტყე ვერ მზადდებოდა და ნედლი მასალა ვერ გადიოდა ქარხნებში თავის დროზე, ქარხნები ხშირად სწყვეტდენ მუშაობას ან დატვირთულნი არ იყვნენ სავსებით. ქარხნებში სამუშაო დღე იყო სულ 1530, ხოლო 1244 დღე ქარხნებში შეჩერებულ იყო, ე. ი. ქარხნების საშუალო დატვირთვა უდრიდა—55 პროცენტს.

ადგილებიდან მოსული ცნობებით, რომელიც სრული არ არის, ტრესტის 1 წლის პროდუქცია უდრიდა 587.426 მანეთის საქონელს, და ერთი წლის განმავლობაში დამზადებულ იქნა ტივის ხე—523.393 კუბიკური ფუტი. ამ რიცხვიდან საკუთარი ძალებით დამზადებულია—273.393 კ. ფუტი. სვანეთის აღმასკომის საშუალებით—250 ათასი კ. ფუტი. დანარჩენი დაამზადეს კერძო მოიჯარადრეებმა. დახერხილია—442.626 კვ. ვერშოკი, დამზადებულია—17.175 ცალი შპალი. საერთოდ შესრულებულია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოთა—50—55 პროც. მთავარი ყურადღება ექცეოდა სატივე ხეების, შეშის და დახერხილ მასალის დამზადებას.

მიმდინარე წელს წარმოებაზე დახარჯული 436.622 მანეთი ხოლო პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავალი—470.366 მანეთი, 1 სექტემბრისათვის დარჩენილი იყო 215,431 მანეთის გაუნაღდებელი მასალა. აქედან დახერხილი მასალა არის—48,533 მანეთის, ავეჯი—13,952 მანეთის, შეშა, შპალები, კოჭები და სხვა—152,946 მანეთის.

მიუხედავად კონკურენციისა, რომელსაც აწარმოებენ სხვადასხვა ორგანიზაციები სატყეო ბაზარზე, სატყეო ტრესტის დადებულ ხელშეკრულებათა რიცხვი შეშისა და სხვა მასალის მიწოდების შესახებ თან და თან იზრდება. დადებულია დიდი ხელშეკრულება სამხედრო - უწყებასთან მისთვის 2700 კუბ. საჟ. შეშის მიწოდების შესახებ, თბილისის აღმასკომთან—1200 კუბ. საჟ. შეშის მიწოდების შესახებ. „აზცემენტ“-თან 15 ათას ცალ კასრის დამზადების შესახებ. უკვე გადაეცა დამზადებული მასალები „აზნეფტ“-ს, „ზაჰესკომს“ და შავი ქვის სამმართველოს. შეკვეთების საერთო ჯამი 200,000 მანეთს აღემატება.

კოოპერაცია

აჭარისტანში

უკანასკნელ თვეების განმავლობაში კოოპერაციას აჭარაში დიდი გამოცოცხლება დაეტყო და მტკიცეთ დაადგა აორძინებისა და განვითარების გზას.

აჭარის კოოპერაციას დიდი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ამ ორ-სამი წლის წინად აქ სამიოდე კოოპერატივი არსებობდა რამოდენიმე დუქნით. ცეკავშირის ბათომის განყოფილება, რომელიც არსებობდა ამა წლის ივლისის 25-მდე, ყოველგვარ ზომებს იღებდა, რომ აჭარაში კოოპერატიული ქსელი გაება და კოოპერატივების საშუალებით ფუხარა ხალხის ყოველწლიური მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებია. ამ მიზნით კიდეც შექმნა მთლიანი კოოპერატივები განყოფილებებით. რაკი უკვე შექმნილი იყო ნიადაგი, ივლისიდან დაარსებულ იქნა აჭარას კოოპერატიული ცენტრი „აჭარცეკავშირი“ ცეკავშირირმა თავის მხრივ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინა აჭარცეკავშირს და გადასცა მას ბათომის განყოფილების მთელი ინვენტარი და ათი კაცისაგან შემდგარი შტატი; რომელთაც ცეკავშირი თავის ხარჯით ინახავს. ამას გარდა გაუხსნა ფართო კრედიტი და მისცა პირველ საჭიროების საგნები. აგრეთვე დაეხმარენ აჭარცეკავშირს კრედიტის მიცემით: სახელმწიფო ბანკი, საფეიქრო სინდიკატი და სხვა სახელმწიფო ორგანოები. ა.-კავკასიის კოოპერატიულმა კავშირმა აჩუქა მას ბათომში მშვენიერი აგარაკი, ღირებული 25.000 მან.

აჭარცეკავშირის დაარსებამდე აჭარაში არსებობდა 6 მთლიანი კოოპერატივი: ბათომის, ქობულეთის, ჩაქვის, აჭარისწყლის, ქედის და ხულოსი. ბათომის კოოპერატივი ივლისის 23-დან მუშკოოპათ იქნა გადაკეთებული. მას ამ ჟამად მუშათა უბნებში 38 განყოფილება აქვს, აქედან: ფართლეულის და სხვა პირველ საჭიროების საგნებისა—12, პურის—12, ნავთის—5 სარძევე და სასადილო—3, ხორცის—2, ბოსტნეულის—2. ფეხსაცმელის—1 და პრა-კერვის—1. წევრთა რიცხვი 3. 498 სულს უდრის.

უკანასკნელ სამის თვის განმავლობაში აჭარაში გახსნილ იქნა სამი ახალი მთლიანი სამომხმარებლო კოოპერატივი და 38 განყოფილება. ახალ წევრთა რიცხვი უდრის 3.198 სულს (მანამდე იყო 3620 წევრი). აღსანიშნავია ისიც, რომ ჩაქვში მთლიანი კოოპერატივა გადაკეთებულ იქნა მუშკოოპად, რომელიც ემსახურება ჩაქვის სახელმწიფო მამულის მუშებს. ჩაქვშივე მის ნაცვლად დაარსდა ახალი მთლიანი კოოპერატივი ფუხარა ხალხისთვის. ჩაქვის მუშკოოპში 470 წევრია, ხოლო მთლიან კოოპერატივში—290.

ამ ჟამად აჭარაში არსებობს: 2 მუშკოპი და 7 მთლიანი სამომხმარებლო კოოპერატივი 47 განყოფილებით. წევრთა რიცხვი უდრის 6818 სულს, ხოლო საპაიო თანხა—7.500 მანეთს. ეს კოოპერატიული ორგანიზაციები გაცილებით იაფად ჰყიდიან საქონელს და ფუხარა ხალხს დღითი დღე თავისკენ იზიდავენ.

აჭარცეკავშირი აგრეთვე დახმარებას აძლევს კრედიტით და საჭირო საგნების მიწოდებით დასავლეთ საქართველოს ზოგიერთს კოოპერატივს ჩოხატაურს, საჯევახოს, ნაგომარს, ლანჩხუთს, ოზურგეთს და ნატანებს

ნებაყოფლობით წევრობის კამპანიამ აჭარაში ნაყოფი მოიტანა: ხალხი კოოპერატივს უკვე თავის ოჯახად სთვლის და კერძო ვაჭარს ერიდება. ვაჭრობის 60 პროც. უკვე კოოპერაციის ხელშია. აღსანიშნავია, რომ ქობულეთში 15 კერძო სავაჭრო დუქანი იყო და დღეს ორიღა დარჩა.

აჭარის კოოპერატივები ეწევიან დამამზადებელ ოპერაციებს. უკვე დამზადებულია 3.000.000 მანდარინი. თუ წინად თითო მანდარინში კერძო ვაჭრები აძლევდნენ 1 ნახ. კაპ. კოოპერატივებს უკვე დარიგებული აქვთ ავანსათ 3 კაპეიკი. აგრეთვე სწარმოებს თხილის და კაკლის დამზადება. განზრახულია ვაშლის დამზადებაც.

საკრედიტო განყოფილებანი გახსნილია ხულოში, ქედაში და ქობულეთში. მოკლე ხანში გაიხსნება კიდევ აჭარისწყალზე და ჩაქვში

მუშათა ცხოვრება

ჩვენც ვეხმარებით ლენინგრადის მუშებს

(ჩვენი ფოთელი მუშკორისაგან)

ა | წ. 5 ნოემბერს შავი-ქვის წარმოებაში მომუშავეთა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებაზე სხვა კითხვებთან ერთად იდგა დღის წესრიგში წყალდიდობის მიერ მიყენებული ზიანის გამო ლენინგრადის მუშების დახმარების გაწევის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ა | წ. 9 ნოემბრიდან იყო გაჩარებული 5 სხვა და სხვა [illegible], ამხანაგები მაინ შეუდგენ ამ საქმეს, როგორც ყოველთვის, შეგნებულად და იქნა შეგროვილი [illegible]. ამით ჩვენი მუშები ამტკიცებენ, რომ ჩვენ ყოველთვის ვიყავით, ვართ და ვიქნებით რევოლიუციის დედა ქალაქის ლენინგრადის მუშებთან როგორც ლხინში, ისე ჭირშიაც, აგრეთვე მთელ მსოფლიო მუშათა კლასთანაც.

მუშკორი სამა ფრუიძე.

ლენინის სახელობის ახალი ქარხანა

7 ნოემბერს ს. ყარატაპაში (ყარაიას რაიონი) ოქტომბრის რევოლიუციის შვიდი წლის თავის აღსანიშნავად მოხდა მიტინგი. წარმოითქვა დროის შესაფერი სიტყვები. ამავე დღეს მოხდა საზეიმო სხდომა ცეკავშირის ბამბის საწმენდ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა. რევოლიუციის მონაპოვართა ნიადაგზე ჩვენი კუთხის სამეურნეო წინსვლის ნიშნად ქარხანას უწოდეს—ცეკავშირის ბამბის საწმენდი ქარხანა ამხ. ლენინის სახელობის.

ინფ. ადგილობრივი.

გაგვინათეთ ქუჩები

(აღმასკომის საყურადღებოდ)

მე-6 სამილიციო რაიონში ავლაბრის ქუჩები არის ძალიან უსინათლოთ. აქ ისეთი საეჭვო ბნელი ქუჩებია, რომ იქ კაციც რომ მოკლან, ვერავინ ვერაფერს ვერ გაიგებს. ვერც ღამით გაევლებათ ხალხს. ეს კი მუშათა უბანი. ცხადია, რომ მუშათა უბანს უნდა შეკეთება, არა ნაკლებ ცენტრალურ ქუჩების. მუშათა უბანში სულ მუშა მოსამსახურენი არიან და ცენტრალურ ქუჩებში კი ბევრი მდიდრებიც არიან.

მე-6 უბნის უფროსო, შენ გევალება სახლის პატრონები აიძულო გაანათონ ქუჩები.

აღმასკომს ვსთხოვთ მოკირწყლოს აქაური ქუჩები.

მუშკორი ალ. ბეგიაშვილი.

ჩვენი მდგომარეობა აუტანელია

(ფინსახკომის და პროფკავშირის საყურადღებოდ)

ბევრჯერ გვილაპარაკნია, რომ ჩვენ შემოსავალ-გასავლის სალაროს მუშა-მოსამსახურენი მეტის-მეტად ცუდ მატერიალურ გაჭირვებას განვიცდით. როგორ უნდა ვიცხოვროთ ჩვენ, როდესაც ვღებულობთ 15—21 მანეთს თვეში. ჩვენი ცხოვრება არ არის ადამიანური ცხოვრება, აუტანელ გაჭირვებაში ვართ ჩავარდნილი ცოლ-შვილით მატერიალური მხრით.

აი სწორედ ამ დროს ჩვენ დაწესებულებაში დაიბადა—12 სპეცი და ვინც ღებულობდა 45 მან. 60 მან. იმას გაუდიდეს ჯამაგირი 75—100—150 მანეთამდე, სპეცების სახით. ჩვენს დაბალ მოსამსახურეებს კი ეს „სპეცები“ გვეუბნებიან: მოთმინება იქონიეთ, სახელმწიფოს ფული არა აქვს, საერთო მასშტაბით მოგემატებათო. ნუ თუ მარტო ეგრედ წოდებულ სპეცებისათვის ადგილათ მოეპოვა ფული სახელმწიფოს და დანარჩენისათვის კი არა. ჩვენი ადმინისტრაცია მოკლეთ წვრილი ჯამაგირებიანისათვისაც ზრუნავდეს. ჩვენი აუტანელი გაჭირვება ფინსახკომის საქართველოს, ცხადია, ნაკლებად აწუხებს.

გეკითხებით, რა საჭიროა ჩვენ პატარა დაწესებულებაში ამდენი „სპეცები“ და „სპეც-განაკვეთები“?.

აქაური მუშა—სერგი ლოვინოვი.

წითელი თეატრი

ამა წლის 8-ის ნოემბრიდან გაიხსნა სეხოვის წითელ თეატრში პროლეტ-კულტის ქართულ სექტორის მიერ პიესა „დაჭრის ა[illegible] ევროპაში“-თ ამხ. დ. კობახიძის რეჟისორობით, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე.

პიესა კარგად მომზადებული იყო და კარგადაც ჩატარდა. ეჭვს გარეშეა, რომ ამხ. კობახიძეს დიდი ენერგია დაუხარჯავს ამ პიესის მომზადებაში. მან შესძლო წითელი თეატრის შექმნა და აუდიტორიის სცენასთან დაკავშირება, რა მხრითაც დიდი მადლობის და პატივისცემის ღირსია ის ჩვენს მიერ.

იმედია, რომ ამხ. კობახიძე ასეთი დიდი ენერგიით იმუშავებს მომავალშიც.

მუშკორი ს. გი—ძე.

მოგვაშორეთ ეს გოროტი კაცი

(ქალ. აღმასკომის ადმინისტრატიულ განყ. საყურადღებოდ)

გონჩარის ქუჩა № 5-ში სცხოვრობს მოქალაქე ერვანდ ქობულოვი, რომლისაგანაც არა აქვთ მოსვენება მცხოვრებლებს მისი უშვერი ლანძღვა-გინების და ლოთობის გამო. სისტემატიურად, ყოველ დღე ითვრება ეს ჩარჩი-ვაჭარი და როდესაც სახლში მოდის, ან ცოლს უნდა სცემოს, ან და გალანძღოს ვინმე მეზობელთაგანი.

მე-8-ე სამილიციო უბნის უფროსმა არა ერთხელ ჩამოართვა მას ხელწერილი, მაგრამ ყველა ეს ამაოდ დარჩა. აღაგმეთ ეს გიჟი ჩარჩი.

ხელს აწერს 11 კაცი.

მადლობის ღირსია ასეთი მუშაკი

ეს ორ წელზე მეტია, რაც მთავარსახელოსნოებში არსებობს მუშა-მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების და სხვადასხვა ფულების გამცემი სალარო. ამ სალაროში მუშაობს ჯამაგირების დამრიგებლად ამხ. ალექსანდრე რატიშვილი. ხსენებული რატიშვილი ძალიან მუყაითად ასრულებს თავის მოვალეობას, რაზედაც დიდათ მადლიერნი არიან აქაურნი მუშამოსამსახურენი. ხსენებულ რატიშვილს უხდება მუშაობა მეტწილად—დილიდან საღამომდის, მაგრამ ის თავის შრომას არ იშურებს, რომ მუშები დროზე დააკმაყოფილოს.

ჩვენი მუშური მადლობა ღირსეულ მუშაკს.

მუშა სიონელი.

[illegible]

(რკინიგზელთა ცხოვრებიდან).

[illegible] ლენინის სახ. სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბნის საშეფო კომისიამ გასცა თავის საშეფო სოფელ კავთისხევის წიგნთსაცავ-სამკითხველოს 200-მეტი წიგნი.

— **მუშები თხოულობენ ხელსაწყო იარაღებს.** ტფ. საქ. სადგურის ადგილკომმა მოსთხოვა ადმინისტრაციას ხელსაწყო იარაღების შეძენა.

— **კავშირიდან გაძევება.** ა | ქ. რკ. გზ. პროფკავშირმა დაადასტურა კავშირიდან გამორიცხვა სად. შორაპნის მწონელი იოსელიანი ს., რომელსაც ბრალი ედებოდა მუშებისადმი უზნეო და უხეშ მოპყრობაში.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ

(პასუხი მუშკორ ქ—ვას).

— გაზ. „კომუნისტის“ № 221 მოთავსებულ წერილზე „მოღალატეებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს მუშებს შორის“ გაცნობებთ, რომ ამ წერილში მოხსენებული მოღალატე გევორქოვი აღარ ირიცხება მთავარ სახელოსნოებში ა. წ. 9 ოქტომბრიდან. რასაც გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე.

— გაზ. „კომუნისტის“ № 229 მოთავსებულ წერილზე „აღაგმეთ ეს ბიუროკრატი“-ს სათაურით, გაცნობებთ, რომ წერილში აღნიშნული მოქ. სავიცკის, რომელსაც ბრალი ედება ბიუროკრატობაში, წინეთ ჰქონია უთანხმოება მუშებთან. ეხლა კი, როგორც კომისიამ გამოარკვია, ასეთ შემთხვევებს ადგილი არა აქვს.

პასუხისმგებელი მდივანი
ჯაფარიძე.

ჩვენი პასუხი

(მუშკორ მიუდგომელს).

შესახებ წერილისა „კომუნისტი“-ს მე-238 ნომერში სათაურით: „აღაგმეთ ეს ვაჟბატონი“ გაცნობებთ, რომ საზოგადოთ ეზო-შენობა მეორე თუმანოვის ქუჩაზე № 34 სანიტარულ ზედამხედველობის მიერ არ ყოფილა სიბინძურეში შემჩნეული, ქათმებს ეზოში ადგილი არა ჰქონია, რაც შეეხება ქათმების ყოლას, სანიტარულ ზედამხედველობას 28 | 10 1924 წ. ქათმებიც ეზოში არ აღმოუჩენია.

აღმასკომის საინფორმაციო მაგიდის გამგე ვარდოსანიძე.

პროფკავშირებში

ფოთის პროფ-ბიუროს გაფართოებული პლენუმი

ა | წ. 10 ნოემბერს მუშათა კლუბში საღამოს სრულ 7 საათზე შესდგა ქ. ფოთის პროფ-ბიუროს გაფართოებული პლენუმის სხდომა გამგეობების და ადგილკომების წევრებთან ერთად.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები:

1. ინფორმაციული მოხსენება მე-4 ყრილობის მუშაობის შესახებ.
2. ინფ. მოხსენება მუშკოპის მუშაობის შესახებ.
3. ინფ. მოხს. შრომის ინსპექტორისა.

და მიმდინარე კითხვები.

მე 4 ყრილობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ჟვანიამ, მან თავის მოხსენებაში აღნუსხა ყოველივე ის, რაც გააკეთა ყრილობამ და აგრეთვე ის ცვლილებანი და შესწორება, რომელიც შეტანილი იყო მე-4 ყრილობის მიერ მომავალ სამუშაო გეგმაში. იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი.

შემდეგ სიტყვა აიღო ამხ. მშვენიერაძემ და შეეხო შრომის ნაყოფიერების გაზრდის საკითხს.

შრომის ნაყოფიერების შესახებ ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. ამ. ჰ. მეგრელიშვილმა, ა. მუსერიძემ, გიორგაძემ, ვ. ქკუსელმა, ი. ფირცხალავამ ი. უჩანეიშვილმა. ყველა ამხანაგები მიუთითებდნენ და აღნიშნავდნენ, თუ როგორ უნდა ხდებოდეს შრომის ნაყოფიერების ზრდა, რის შემდეგ იქნა მიღებული რეზოლიუცია.

მოხსენებას მუშკოპის მუშაობის შესახებ მოიხსნა, ვინაიდან სულ-ახლო ხანში იყო ასეთი გაკეთებული.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს შრომის ინსპექტორი ამხ. მუქერია და აღნიშნავს ყოველივე თავის უბნის შესახებ. იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი.

კრება დაიხურა 10 საათსა და 30 წუთზე. მუშკორი ს. ფრუიძე.

შრომის ბირჟის თათბირი

თათბირის გახსნა

შაბათს, 15 ნოემბერს საღამოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შრომის ბირჟების შესახებ მოწვეული თათბირი.

თათბირმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) ამხ. არ. მიქაძის მოხსენება შუამავლობის პოლიტიკასა და მის პერსპექტივებზე, 2) ამხ. ვ. ლეინის მოხსენება—შრომის ბირჟების და საშუამავლო ორგანოების მუშაობის მეთოდებზე და ფორმებზე 3) უმუშევრობა და შრომის დახმარებათა ღონისძიებანი—ამხ. მიქაძის მოხსენება, 4) უმუშევართა დაზღვევა ამხ. კილაძე, 5) მოხსენებები ადგილებიდან და მიმდინარე საკითხები.

შუამავლობის პოლიტიკა და მისი პერსპექტივები

(მომხსენებელი ამხ. მიქაძე)

ამხ. მიქაძე მოხსენების შესავალში არკვევს შრომის ბირჟების დანიშნულებას და მოქმედებას პროლეტარულ სახელმწიფოში ერთი მხრივ და მეორე მხრივ შრომის ბირჟების მიზნებს და საქმიანობას კაპიტალისტურ ქვეყნებში.

უმუშევართა რიცხვი და უმუშევრობის ხასიათი

გასაბჭოების დღიდან საქართველოს შრომის ბირჟაში გატარებულია 85 ათასი კაცი. უმუშევრობას საქართველოში ჰქონდა უმთავრესად ორი გარემოება: დაწესებულებათა შტატის შემცირება და სამუშაოს მაძებარი სოფლელი გლეხობის გადინება ქალაქებში. რამდენადაც ძლიერდება სახელმწიფო მეურნეობის აღსადგენად დაწყებული მუშაობა, იმდენად უმუშევართა რიცხვი კლებულობს, კვალიფიკაციური მუშები ებმებიან საამშენებლო მუშაობაში (ქარხნების აგება, ზაჰესი, ხე-ტყის დამზადება და სხვა). უფრო ნაკლებია გონებრივ. მუშაკთა შრომის მოთხოვნილება. საერთოდ ჩვენს შრომის ბირჟების მიერ ნაკლებად არიან აღრიცხული კვალიფიკაციური შრომის მუშაკები.

უმუშევრობა წმენდის შემდეგ.

უკანასკნელმა წმენდამ გამოააშკარავა, რომ უმუშევართა 62 პროცენტს არ აქვს მუშაობის სტაჟი. წმენდის შემდეგ ბირჟაში აღრიცხული დარჩა ერთი მესამედი—10 ათასი კაცი, რომელნიც ცოტათ თუ ბევრად დახელოვნებული და გაწვრთნილი მუშაკები არიან.

ისინი აუცილებლად გაიგზავნებიან სათანადო სამუშაოზე.

საშუამავლო ბიუროების მოწყობის აუცილებლობა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის თვალსაზრისით—ჩვენი ბირჟები ვერ იყო დამაკმაყოფილებელი, რამდენადაც ისინი დაწესებულებებს-წარმოებას საშუალებას არ აძლევდენ. ამოერჩიათ თავისი საქმისათვის გამოსადეგი და გამოცდილი მუშაკი.

ამიერიდან შრომის ბირჟები გადაკეთებული იქნებიან საშუამავლო ბიუროებად, რომელნიც აღრიცხავენ მხოლოდ დახელოვნებულ გამოცდილ მუშაკებს და სისტემატიურად გამოაქვეყნებენ ცნობებს მათ მიერ აღრიცხულ ძალების შესახებ. წარმოება-დაწესებულებებს ნება ეძლევათ ამოირჩიონ თავის საქმისათვის შესაფერი ძალები. საშუამავლო ბიურო იქნება მუშათა დაწესებულება, რომლის დაარსების უფლება აქვს მხოლოდ შრომის სახალხო კომისარიატს, რომელიც ერთი და იმავე პრინციპის მიხედვით მოაწყობს ყველგან საშუამავლო ბიუროებს, როგორც ცენტრში, ისე პროვინციებში. შრომის ბირჟების ასეთი გადახალისება შეამცირებს უმუშევართა რიცხვს და ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

უმუშევართა შესამცირებლად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე კოლექტიურ სამუშაოების მოწყობა.

კამათი

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. რუხაძემ, ეროზინმა, ქირიაკოვმა, ნასყიდაშვილმა, ვაშაკიძემ, არჩვაძემ, [illegible], ცინცაძემ, ფარნიევმა და სხვა. ოპონენტები ეთანხმებოდენ მომხსენებლის დასკვნებს შრომის ბირჟის გადახალისების შესახებ და მოითხოვდენ მის დაუყოვნებლივ გატარებას

რეზოლიუციის მიღება.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ, თათბირი იღებს რეზოლიუციას, სადაც თათბირის მიერ დადასტურებულია მომხსენებლის მიერ წამოყენებული ბირჟის გადახალისების და საშუამავლო ბიუროს მოწყობის ძირითადი დებულებები. შემდეგი სხდომა დაინიშნა 17 ნოემბერს.

შრომის მოწესრიგება

ფონდი მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატმა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში შეიტანა მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად ფონდის შექმნის პროექტი, პროექტი ითვალისწინებს ანარიცხებს ტრესტების მოგებიდან მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდში გადასარიცხათ. ანარიცხების რაოდენობას ტრესტებისათვის განსაზღვრავს ყოფილი რესპუბლიკის ს. მ. ო. ს. და ფინ. სახ. კომ-ს რწმუნებული, ხოლო ა | კავკასიის ტრესტებისათვის—ა | კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

ფონდის განსაზღვრული ნაწილი მოხმარდება მუშებისათვის გრძელვადიანი სესხის მიცემას მუშათა კოოპერატიული [illegible] ასაგებათ. სესხი პროცენტით დაუბრუნდება ისევ ფონდს.

სახელმწიფო მინიმუმი

ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატმა დაამუშავა და გამოაქვეყნა შრომის ხელფასის სახელმწიფო მინიმუმი, რომელზე დაკლების მიცემა ეკრძალება ყველა დაწესებულებას და წარმოებას.

პასუხისმგებელ მუშაკთა კატეგორიების დაყოფა.

ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატმა დაამუშავა და შეუთანხმა პროფესიონალურ ორგანიზაციებს ინსტრუქციის პროექტი პასუხისმგებელ მუშაკთა კატეგორიებად დაყოფის შესახებ.

მავნებელი პროფესიები.

ა [illegible] სიის გადასინჯვას იმ მიზნით, რომ შეამციროს იმ მავნებელ პროფესიათა რიცხვი, სადაც აღკრძალულია მოზარდთა მუშაობა.

ქალის შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

ა.-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატთან მოეწყო რეგულიარული თათბირების სტატუტი წარმოებებში ქალის სამუშაო პირობების შესასწავლად და გასაუმჯობესებლად.

ნაწლევის დამამუშავებელ ქარხნების შენახვა და დაცვა.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება ნაწლევების დამამზადებელ ქარხნების მოწყობისა, შენახვის და საფრთხისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

მეცნიერება და ტეხნიკა

ჰაერის მაღალი ფენების ტემპერატურა.

ოქსფორდელმა ფიზიკოსებმა ლაიდგენმა და გაბსონმა გამოაქვეყნეს თავისი გამოკვლევების შედეგები, რომლებიც გადაჭრით ეწინააღმდეგებიან დღემდი არსებულ წარმოდგენას. წინათ მაგალითად მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ 150 ვერსის სიმაღლეზე დაწოლის ძალა უდრის ჰაერის ერთ-მეორასოცდაათიათასედს. აღნიშნულმა მეცნიერებმა კი გამოარკვიეს, რომ ჰაერის სიმკვრივე ამ სიმაღლეზე ათასჯერ მეტია

დღემდი ფიქრობდენ, რომ სიმაღლის ზრდასთან ერთად სითბო კლებულობს. ოქსფორდელმა მეცნიერებმა კი აღმოაჩინეს რომ თუ თორმეტი ვერსის სიმაღლეზე 50 გრადუსი სიცივეა, 50 ვერსის სიმაღლეზ უკვე 27 გრადუსი სითბოა, ე. ი ამ სიმაღლეზე ზაფხულის დღის სითბო არის.

ხელოვნური სიცოცხლე.

რუსმა მეცნიერმა კულიაბკომ მოახერხა შესანიშნავი ცდის მოხდენა: მან ახლად გარდაცვალებული კაცის გული ამოჭრა და მოათავსა სპეციალურ სითხეში და გული კიდევ ოცდაოთხი საათის განმავლობაში განაგრძობდა მოქმედებას.

„ზეტა“ სხივები.

ახალი სხივები, რომელსაც „ზეტა“-სხივები უწოდეს, აღმოაჩინეს ამერიკელმა მეცნიერებმა ექიმმა რიანმა და ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა ვილიამ გარკინსმა.

აღმოჩენამ მთელი მსოფლიოს მეცნიერების ყურადღება მიიპყრო, ალბათ უფრო იმიტომ, რომ ახალი სხივები აღმოაჩინეს მათი წინასწარ ფოტოგრაფიულად გადაღებით, ანდა უფრო სწორათ რომ ვთქვათ, იმ უხილავი კვალის ფოტოგრაფიულად გადაღებით, რომელსაც ეს სხივები სტოვებენ ჰაერში გავლის დროს.

ეს სინათლის სხივები კი არ არის, არამედ ელექტრონები, რომლებსაც ისვრის ატომი.

ატომები ძლიერ პატარა არიან. საჭიროა ასი მილიონი ატომი, რომ შევადგინოთ ერთი დიუმის სიგრძე ხაზი. ელექტრონები კი კიდევ უფრო პატარა არიან.

ამიტომ უკანასკნელი დროის უდიდეს აღმოჩენას წარმოადგენს კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის ს. ტ. ვილსონის აღმოჩენა, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ელექტრონების გზა ჰაერში.

ატომი წარმოადგენს მიკროსკოპიულ მზის სისტემას, რომელშიც ცენტრალური უჯრედი მზის როლს თამაშობს.

ელექტრონებისა და ატომების კვალი თავისთავად არ ანათებს. მაგრამ მათ შუქფენათ ხდიან ძლიერ მოხერხებული საშუალებით: ყველამ იცის, რომ წვიმის ღრუბლები შესდგებიან წყლის პატარა წვეთებისაგან. ეს წყლის წვეთები წარმოიშობიან წყლის ორთქლით გაჟღენთილი ჰაერის გაციების დროს.

ამ წვეთების წარმოშობა შეუძლებელია ისეთ ჰაერში, სადაც სრულიად არ მოიპოება მტვერი, მაგრამ შესაძლებელია წარმოიშვან ისეთ ჰაერში, რომელიც გაჟღენთილია დატენილი ნაწილაკებით, ე. ი. ელექტრონებით ან ატომებზე, რომლებიც გატენილი არიან, დადებითი ელექტრობით და ცნობილი არიან დადებითი იონების სახელით. ცდების მოსახდენათ ჰაერით ან რაიმე სხვა გაზით ავსებენ ჰურჭელში.

ჰურჭლის ერთ კედელზე ათავსებენ რადის მგვარ ნივთიერებას, მაგალითად ტორის. რომელიც ტყვიასთან შედარებით 26.000 ჯერ უფრო მეტის სისწრაფით ისვრის ალფა-ნაწილაკებს. როცა ეს ნაწილაკები სჭრიან ჰაერს, ისინი ვერ აჩერხებენ ატომის გულის გარშემო შემოვლას და ატომები სკდებიან.

უცებ აღებენ ჰურჭლის მილს და მასში უშვებენ ჰაერს.

იმავე წამში ჰურჭელში ჩნდება წყლის წვეთები, მაგრამ მხოლოდ იმ ელექტრონებზე, რომლებიც გამოცვივდენ ატომიდან.

წყლის წვეთები ჩნდება მხოლოდ იმ ხაზზე, რომელიც გაიარა ტორის ატომის მიერ გასროლილმა ალფა-ნაწილაკმა. ორი მძლავრი პროექტორის სხივი იწვევს ელვარებას სველ ხაზზე.

ინტერესი „ზეტა“ სხივებისადმი გამოწვეული არიან იმით, რომ ისინი ძლიერ იშვიათი არიან.

„ზეტა“-სხივები სიგრძით ერთი-მერვედი დიუმის ოდენა არიან. პირველათ ეს სხივები აღმოაჩინეს ფოტოგრაფიულ სურათზე, რომელიც წარმოადგენდა ატომის გულისა და ალფა-ნაწილაკების დაჯახებას.

წითელ ჯარში

წითელარმიელთა ხმა

უკვე მეშვიდე თვეა, რაც წითელ ჯარში გამოგვიწვიეს. ამ ხნის განმავლობაში ვმსახურობთ № ტერლეგიონში—თბილისში.

მართალია მოვცილდით ჩვენს კერძო და ოჯახურ საქმეებს, მაგრამ არ ვნაღვლობთ... ჩვენ სამხედრო ბეგარის მოხდასთან ერთად დიდ სასარგებლო საქმეებს ვაკეთებთ. ჩვენ გვანათლებენ მრავალნაირად, ჩვენ გვასწავლიან წერა-კითხვას. ეს ჩვენთვის დიდი ხეირია.

ამისათვის დიდი მადლობა ჩვენს ხელმძღვანელებს, ჩვენს მასწავლებლებს.

მოსწავლე წ.-არმიელები: **სპანდერაშვილი, ჩაბრაძე, ახანიძე, ტყავაძე, ხელაძე, ისიდორია, სამხარაძე, კოხრეიძე, მიროტაძე, ვერულაშვილი და გიორგაძე.**

საბჭოთა სასამართლო

მეძავი მამაკაცები

ამ. საქ. ოლქის სასამართლომ შომახიას თავმჯდომარეობით გაასამართლა მოქალაქენი დიმიტრი სტორჩაკი, სტეფანე იურიევი, გეურქ ბალათუროვი და არმაკ ოლანეზოვი ბოროტმოქმედებისათვის, რომლის ნიშნები გათვალისწინებულია ს. ს. კ. 171 და 176 მუხლებში.

დასახელებული მოქალაქენი მილიციამ დააპატიმრა ოლანეზოვის ბინაზე, სადაც ბრალდებულნი ეწეოდენ მეძაობას ურთიერთ შორის განსაზღვრულ სტფასურში. სასამართლომ დამტკიცებულად სცნო ბოროტმოქმედების ფაქტი, რის გამო მიუსაჯა: ოლანეზოვს—თავისუფლების ალკვეთა 3 წლით და მთელი ქონების კონფისკაცია, ხოლო დანარჩენთ—თითო წელიწადი. ამნისტიის ძალით სამი უკანასკნელი ბრალდებული განთავისუფლებულ იქნენ, ხოლო ოლანეზოვს ამნისტიითვე განახევრებული სასჯელი ჩაეთვალა პირობითად.

ქრონიკა

— **შეცდომების გასწორება.** ყოფ. ახ. მარქსისტთა სახელით ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში გამოქვეყნებულ დეკლარაციის ხელის მომწერთა შორის შეცდომით არის შ. ანდღულაძე. უნდა იყოს ვ. ანდღულაძე.

— **მოხსენება დამცველთა ეთიკაზე.** ხუთშაბათს, 20 ნოემბერს საღამოს 6 საათზე აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სისხ. სამ. განყოფილების სხდომების დარბაზში, დანიშნულია იურიდიულ საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელზედაც დამცველთა „კოლეგიის" წევრი შალვა მესხიშვილი გააკეთებს მოხსენებას „დამცველთა ეთიკაზე".

— **„მოწაფის ხმა"** სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობამ წინადადება მისცა ყველა მასწავლებლებს ფართოდ გაავრცელონ საბავშვო გაზეთი „მოწაფის ხმა" ბავშვებში და შექმნან მოწაფე-თანამშრომელთა კადრი. (გაზეთის 1-ლი № უკვე გამოვიდა).

— **ახალი წითელი სასადილო.** ქართ. დივიზიის მთლიან მომხმარებელ საზოგადოებამ გადასწყვიტა გახსნას წითელი სასადილო.

— **საქონლის მოსაშენებლად.** სასოფლო სამეურ. ბანკმა გაუხსნა „ევკოვრუხს" გრძელვადიანი სესხი ჯიშიანი ძროხების მოსაშენებლით და მერძეობის განსავითარებლათ.

— **რძის ფული.** დამზღვევ კასამ ოქტომბრის განმავლობაში ძუძუმწოვარა ბავშვებისათვის რძის ფულათ გასცა 8,582 მან. 52 კ.

— **დასაზღვევი გადასახადის დროზე შეუტანლობის გამო** ჯარიმების სახით ოქტომბერში დამზღვევ კასას შემოუვიდა 2899 მან.

— **საქ. სახ. კომ. საბჭოს წინაშე** ხოფ. ვაჩნაძიანის მცხოვრებლებმა აღძრეს შუამდგომლობა, რათა აღნიშნულ სოფელს და ამავე სოფელთან მდებარე რკ. გზის სადგურს ამიერიდან ეწოდოს ახალი სახელი „შრომა".

— **დახმარება სკოლას.** სოფ. ქვემოგომის სკოლის შენობის დასამთავრებლად საქ. სახ. კომისართა საბჭომ გადასდო 1000 მან.

— **გამსესხებელი ამხანაგობები** საქ. სახ. კომისართა საბჭომ სასოფლო-სამეურნეო ბანკს დაავალა გურიის სხვადასხვა ადგილას გახსნას გამსესხებელი ამხანაგობები.

— **ცეკავშირის კერამიკულმა** ქარხანამ ოქტომბერში დაამზადა 4034 ცალი ჭურჭლეულობა.

— **გურიის ტყეები.** ს. სახ. კომისართა საბჭომ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიანდო გურიის ტყეების გეგმიანი ექსპლოატაციის საქმე.

— **განათლების კომისარიატს.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ სტიპენდიების დანიშვნის საქმე მიანდო მთლიანათ.

— **შრატის დამზადება** ოქტ. განმავლობაში ტაბახმელას საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელმა სადგურმა დაამზადა 243 ლიტრა შრატი.

— **ტყის დათვალიერება.** ლანჩხუთიდან დაბრუნდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც დაათვალიერა ლანჩხუთის რაიონის ტყე.

— **ახალი წიგნი.** ქუთაისში დაიბეჭდა და გამოვიდა ქართულ ენაზე იაკ. კოსტავას—ქიმიის სახელმძღვანელო მეორე საფეხურის სკოლებისათვის, შედგენილი სხვადასხვა სახელმძღვანელოების მიხედვით.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** 14 ნოემბერს, ღამით ავლაბრის ქ. № 41 ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს მოქ. ვლადიმერ ჭანტურიას ბინა, წაღებულია 400 მანეთის ნივთები.

— 15 ნოემბერს დღისით, პლეხანოვის პრ. № 153 გაქურდეს მოქ. რაფიელ ლაბატოვის ბინა, წაიღეს 165 მან. ნივთები

— **ცეცხლი.** 15 ნოემბერს დილის 10 საათზე იორის ქ. № 20 მოქ. თანიანცის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლისმქრობელ რაზმის მიერ. ზარალი უმნიშვნელოა.

რკინის გზებზე

— **რკ. გზის სამმართველომ** გორის შპალების დასამზადებელ ქარხანასთან ცეცხლის მქრობელ იარაღების და საჭირო მოწყობილობის შესაძენათ გადასდო 3040 მ.

— **ნაციონალური კურსები.** რკ. გზის სამმართველომ სომხეთში და აზერბეიჯანში ნაციონალურ კურსების მოსაწყობათ გადასდო 15000 მან.

— **ხარის განრეხა.** 15 ნოემბერს ცველახ-მალას გადასარბენზე მატარებელმა № 8 გადასჭრა ხარი. საფოსტო ვაგონი გადასცდა ლიანდაგს. მოძრაობა შეჩერდა 4 საათით.

— **რკინისგზის ჯანმრთელობის** განყოფილებამ გადასწყვიტა, შეამოწმოს რკინისგზის სკოლების მოწაფეთა კბილების ჯანმრთელობა.

— **ა.-კ. რკინისგზის** პროფკავშირმა სადგური გომი შეუერთა ხაშურის საუბნო პროფკავშირს.

რკინის გზის ახალი ტარიფის შემოღება

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭომ ნება დართო გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის სატარიფო კომიტეტს რკინის გზების შემოსავლიანობის გასადიდებლად გაადიდოს ტარიფები 3 პროცენტიდან 10 პროცენტამდე.

ამავე დროს სატარიფო კომიტეტს წინადადება გაეცა დაწვრილებით განიხილოს არსებული ტარიფები იმ ანგარიშით, რომ ამ მიზნით წარმოებული მუშაობა დამთავრებულ იქნეს 1925 წლის 1 აპრილისათვის.

ამ საკითხთან დაკავშირებით საბირჟო ვაჭრობის წარმომადგენელთა ყრილობის საბჭომ მიმართა ტფილისის საბირჟო კომიტეტს წინადადებით გაუგზავნოს მასალები და თავისი მოსაზრებანი რკინის გზის ტარიფის შეცვლის საკითხის შესახებ.

თბილისის საბირჟო კომიტეტმა, მიიღო რა მხედველობაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტარიფების ყოველგვარ შეცვლას, დაადგინა,—მოაწყოს საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გ. ა. ავაბაბოვის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც მოწვეულნი იქნებიან რკინის გზების, შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის და აგრეთვე სხვა ამ საკითხით დაინტერესებულ უწყებათა და სამეურნეო ორგანოთა წარმომადგენელნი.

კომისია მიზნათ ისახავს შეისწავლოს საკითხი, თუ რა გავლენას მოახდენს ამ ჟამად მომქმედი ტარიფების შეცვლა როგორც პირდაპირ, ისე ადგილობრივ მიმოსვლაზე, განსაკუთრებით ა | კავკასიის წარმოების საგნებზე.

იმავე კომისიას დაევალება გამოიმუშაოს ღონისძიებანი რკინის გზებზე, ნავთსადგურებში დატვირთვის და განტვირთვის ფასების შესამცირებლად.

ხელოვნება

ვლადიმერ გოროვიცის კონცერტი

ხელახლა გვესტუმრა ეს ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი.

ვლ. გოროვიცის შესრულების გარჩევის დროს საჭირო არ არის ლაპარაკი მისი ტექნიკის შესახებ, რადგან ეს ტექნიკა მას უმაღლეს წერტილამდი აქვს აყვანილი.

ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ შესრულების ინდივიდუალურ მხარეებზე და ფორტეპიანის ლიტერატურის ამა თუ იმ ნაწარმოების გაგებაზე.

ბახი თავის გენიალურ შემოქმედებაში ერთად-ერთია მთელს მსოფლიოში; მას თავისი სტილი აქვს და ეს სტილი დაცული უნდა იქნეს. სუბიექტიური მიდგომა ბახის ნაწარმოებებისათვის დაუშვებელია.

გოროვიცი ბახის „ტოკატა"-ს შესრულების დროს თავისებურათ უდგება ამ ნაწარმოებს, ის აჩქარებს ტემპს და დინამიკას, ამიტომ შესრულება ვერ გამოდის სწორი.

ასეთივე დეფექტებია ვივალდის კონცერტის შესრულებაშიც. მაგრამ გენიალური შუმანის ნაწარმოებები საუცხოვოთ იყო შესრულებული.

გოროვიცის შესრულებაში სჩანს ახალი რამ: მან ეხლა შეისისხლხორცა შოპენის შემოქმედება ყველა მისი დეტალებით. ზედმიწევნით სწორათ და იშვიათი სილამაზით იყო შესრულებული მაზურკა და მხატვრული ეტიუდები.

საუცხოვოთ შეასრულა გოროვიცმა ლისტის „მეფისტო-ვალსი"; გარდა ტექნიკური დამთავრებულობისა, გოროვიცმა გამოყო ყველა თემები და ხაზი გაუსვა მეფისტოფელის სარკაზმს და ფაუსტის და მარგარიტას ლირიულ განცდებს.

განსვენებულ ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად შესრულებული იყო შოპენის სამგლოვიარო მარში.

კონცერტის დასრულების შემდეგ გოროვიცს მხურვალე ოვაციები გაუმართეს.

პ. ზ.

მუშათა ცენტრალურ კლუბში.

შაბათს, 15 ნოემბერს მუშათა ცენტრალურ კლუბში რკ. გზ. მოძრაობის დარგის ადგილკომთან არსებულ ქარ. დრამატიული წრის მიერ მსახიობ დ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით წრის სეზონის გახსნის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნა მუშა-მწერლის გ. ჩარხიშვილის რევოლიუციონური პიესა 4 მოქ. „მუშა თუ ბატონი". პიესის შინაარსი აღებულია პირველ რევოლიუციის დაწყებიდან .ე. ი. 1905წ. და შეიცავს 4 განყოფილებას: 1) რევოლიუციის დასაწყისი და მომზადება საერთო გაფიცვისათვის. 2) თავის განწირვა, მოკვლა მთავარმართებლის და გუბერნატორის. 3) მზადება იარაღით აჯანყებისათვის. 4) რევოლიუციის გამარჯვება საერთოთ შინაარსი კარგია. წარმოდგენის დაწყების წინ ავტორმა წინასიტყვაობა უძღვნა პიესას. პიესაში მთავარ როლებს ასრულებდნენ: სამსონი—ლაფერაშვილი, ლეა—გოგაშვილი, ლენა—ზამთარაძე, კოგანო—ჩიტაძე, ბერლი—გ. ფალაქიშვილი, ალე. სანდრე—ჯიქია. დანარჩენები ხელს უწყობდენ მთავარ როლებს. ზოგიერთი მოთამაშეები მოიკოჭლებდენ როლის ცოდნაში.

საერთოდ პიესა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. წარმოდგენაზე უკრავდა სამხედრო ორკესტრი.

მუშკორი კინო.

—

„სამი სიცოცხლე" ოთხშაბათს საღამოს 7 საათზე კინო „აპოლოში" მოხდება სახელმწიფო კინო-მრეწველობის ახალი სურათის „სამი სიცოცხლის" საზოგადო განხილვა.

— **დახმარება არტურ ლეისტს.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დამსახურებულ მწერალს არტურ ლეისტს დახმარების სახით გადასცა 200 მან.

— **პროფკავშირთა წევრების საყურადღებოთ.** რუსთაველის თეატრის ადმინისტრაცია ამით აცხადებს, რომ 16 ნოემბრისათვის პიესა „ლატავრაზე" გაცემული ბილეთები გამოდგება 23 ნოემბერს, ხოლო 23 ნოემბრისათვის გაცემული კი—25 ნოემბერს.

პროვინციაში

სწავლა-აღზრდის საქმე დუშეთის მაზრაში

დუშეთის მაზრა კულტურულათ ძალიან ჩამორჩენილია. ამ მაზრაში ჯერ კიდევ არ არსებობს სკოლების საკმაო რიცხვი.

დუშეთის მაზრაში არის 10 რაიონი. მთელ მაზრაში არის 55 ოთხწლიანი შრომის სკოლა, 2 შვიდწლედი და ერთი ცხრაწლედი თვით დუშეთში. ყველა შრომის სკოლებში მოწაფეთა რიცხვი 1923—1924 სამოსწავლო წელში უდრიდა 3499. მასწავლებელთა რიცხვი მთელ მაზრაში უდრის 110 განათლების ცენზის მიხედვით დუშეთის მაზრის მასწავლებლები უმეტეს ნაწილათ დაბალი ცენზით არიან.

წელს დუშეთის მაზრაში ნორმალური მეცადინეობა ყველგან დაწყებულია, მაგრამ ზოგიერთი სკოლები მეტად ცუდ მდგომარეობაში არიან. მაგ. სკოლებს აკლია პარტები, ფანჯრებს არა აქვს მინები და სხვა.

საჭიროა სოფლის სკოლებს მეტი ყურადღება მიექცეს და თავის დროზე მიეცეს შეშა და სამოსწავლო ნივთები. საჭიროა აგრეთვე გლეხების დაახლოვება სოფლის მასწავლებლებთან.

გრ. ნ—ლი.

დაბა ძირულა (შორაპნის მაზრა)

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც დაბა ძირულაში დააარსეს პროფტექნიკური სასწავლებელი. ამ სასწავლებლის შენობის ასაშენებლად მთავრობამ დიდი მატერიალური დახმარება აღმოუჩინა მცხოვრებლებს, არსებობს აგრეთვე შვიდწლედი. როგორ ძირულაში, ისე ახლო მდებარე თემებში: ლაშე-ღვერკში და შროშაში.

ძირულაში არსებობს აგურის ქარხანა, რომლის შეკეთება დაიწყო ამა წლის ივლისის რიცხვებში საქართველოს სამთამადნო კომიტეტის ინიციატივით და დაამთავრეს ამ ორი კვირის წინად, მოაწყვეს დიდი ღუმელები, რომლებიც დაამზადებენ ყოველთვიურად 50,000 ცალ ცეცხლის გამძლე აგურს.

ხსენებულ ქარხანაში უნდოდათ ელექტრონის მოტორის მოწყობა, რისთვისაც დინამო შეძენილი აქვთ თითქმის წელიწადზე მეტია.

აქამდის ქარხნის მუშებისა და სოფლის გლეხობისათვის სამწუხარო მოვლენას წარმოადგენდა კოოპერატივის უქონლობა, მაგრამ ამ საქმეს სათანადო ყურადღება მიაქცია საბჭოთა ხელისუფლებამ და ერთი თვის წინათ ძირულაში დაარსეს „ეპო".

ი. გ.

კინო სოფელში

ამ რამოდენიმე დღეების წინეთ არსენალის კულტკომისია გაემგზავრა თავის საშეფო სოფელში—ქვემო ქალაში, რათა გაემართათ კინო ადგილობრივ გლეხებისათვის კინოსურათების საჩვენებლათ. კულტკომისია საღამოს 9 საათზე უკვე იყო აღნიშნულ ადგილას. კლუბი გაჭედილი იყო გლეხებითა და მათი ოჯახის წევრებით, ეკრანი კომისიის ქალაქში დარჩენოდა და აბა რაზე უნდა ეჩვენებიანათ სურათი. გამოჩნდენ გლეხები დასახმარებლად. მოიტანეს ოთხი ზეწარი და ეკრანიც გაკეთდა. უჩვენეს „სურამის ციხე". მეორე დღეს ისევ უჩვენეს სურათი. ეს დღე კვირა იყო. მაყურებელი ხალხი უფრო მეტი შეგროვდა კლუბში, ისე რომ ტევა აღარ იყო. სურათმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხობაზე; გლეხებში ისმოდა ამოხვნეშა, კვნესა და ვიში და მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ სტანჯავდენ გახრწნილი თავადაზნაურები გლეხობას. განსაკუთრებულის სიძლიერით იმოქმედა მაყურებლებზე სცენამ, როდესაც დაჩაგრულ დამონებულ გლეხს ბორკილებისაგან შეკრულ ხელს გაუხსნიან და ხელში აძლევენ ხანჯალს თავადის მოსაკლავათ. ამ სცენის დანახვაზე მაყურებელ-გლეხებმა დაუსრულებელი ტაშის ცემა შექმნეს და არ შეუწყვეტიათ დიდხანს.

კან—თან.

ჩვენი სოფლის ავკარგი

სოფ. პაიჭესეული (ოზურგეთის მაზრა)

სოფ. პაიჭესეული მდებარეობს ხიდისთავის რაიონში, დაშორებულია ოზურგეთის მაზრაზე დაახლოვებით 19 ვერსით. მდებარეობით არის მთაგორიანი. მცხოვრებლების უმთავრეს სამუშაო დარგს შეადგენს ხვნა-თესვა და მევენახეობა. ამ სოფლის მდებარეობა და ჰავა ხელს უწყობს კარტოფილის მოშენებას, რომელიც იმდენი მოჰყავთ, რომ არა თუ ამ სოფელს აკმაყოფილებს, არამედ სხვა სოფელშიაც მიაქვთ გასაყიდათ. სოფელს უბრალო საურმე გზაც არ მოეპოება. ამიტომ მცხოვრებლები ყოველივე სანოვაგეს ზურგით ეზიდებიან.

სოფელში არსებობს 4 წლიანი შრომის სკოლა, რომელშიაც მსახურობს ერთი მასწავლებელი. სკოლის ეზოში ხშირათ იმართება უფასო და ფასიანი წარმოდგენები. აგრეთვე ხშირათ იმართება საბავშვო საღამოები და დილა.

გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რომელსაც გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა.

არსებობს ღარიბულათ სამკითხველო, რომელშიაც არის გამოწერილი შემდეგი გაზეთი: „კომუნისტი", „მუშა" და „მიწის მუშა". ვთხოვთ სამაზრო პოლიტ-განს, რომ ამ სოფლის სამკითხველოს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და დაეხმაროს სხვა და სხვა წიგნებით.

ნ. გოგიტაური

სოფ. დილიკაური (შორაპნის მაზრა)

ს. დილიკაურის საბჭოსი და მოწინავე ინტელიგენციის მიზანი იყო, რომ სოფელში დაარსებულიყო საექიმო ან საფერშლო პუნქტი, რის შესახებ მრავალი დადგენილებები იყო გამოტანილი... შრომას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. მთავრობამ მიაქცია სათანადო ყურადღება დილიკაურის სიშორეს ქ. ზესტაფონზე. გაითვალისწინა გლეხობის მდგომარეობა და ის შორი მანძილი, (9—10 ვერსი) რომელიც არის ქ. ზესტაფონსა და დილიკაურს შუა და დაარსა საფერშლო პუნქტი. გლეხობა მნიშვნელოვან და ფრიად აუცილებელ დაწესებულებას [illegible] ხედავს და [illegible] მადლობელია მთავრობის [illegible] ინიციატივობა გამოიჩინა.—იმედს გამოვსთქვამთ, რომ კლდეისთვის საფერშლო პუნქტს საექიმოც მოჰყვება.

ა. ხიდაძე.

პროვინციის ქრონიკა

— **ახალი ხიდი.** დამთავრდა ქობულეთში მდინარე კინტრიშზე ხიდის აგება. ხიდი ქვისაა და სიგრძე აქვს 15 საჟენი.

— **ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა** გადასწყვიტა მოახდინოს თავის აპარატის გადახალისება.

— **ოზურგეთის აღმასკომმა** სამაზრო გლეხკომს გადასცა 2 სახლი, ერთი გლეხთა სახლის და მეორე უპატრონო ბავშვთა სახლის მოსაწყობათ.

— **საფერშლო პუნქტი.** ტყვიავში (გორის მაზრა) გაიხსნა საფერშლო პუნქტი და აფთიაქი.

— **მუშათა მთლიან კოოპერატივმა** მიიღო შეფობა სართიჭალაზე.

— **სათემო ერთეულები** თანახმად შინ. საქ. კომისარიატის ცირკულარისა, ახალციხის მაზრა დაყოფილი იქნა 9 სათემო ერთეულათ.

— **გორის სამაზრო აღმასკომმა** დაგზავნა ინსტრუქტორები გორის, ხაშურის, ქარელის, გომის და ახალქალაქის რაიონებში გლეხკომების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნი

— **რაჭის სამაზრო აღმასკომმა** შეიძინა სამხედრო ორკესტრი და მიიწვია გამოცდილი კაპელმეისტერი.

— **გურიის სასოფლო-სამეურნეო** სასწავლებლის ხარჯები, გარდა მასწავლებელთა ჯამაგირებისა, იკისრა ოზურგეთის აღმასკომმა.

— **ახალციხის აღმასკომმა** შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა მან მიიღოს თავის თავზე მაზრაში ახლად გახსნილ სასწავლებელთა მასწავლებლების ჯამაგირებით დაკმაყოფილების საქმე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

არსენალის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 18 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება ქალთა სადელეგატო კრება ქალთა ორგანიზატორების და დიასახლისთა თანდასწრებით. ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

არსენალის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 19 ნოემბერს საღამოს 5 ნახევ ათზე სახალხო სახლის შენობაში გაიმართება არსენალის რაიონის პარტიის წევრთა კანდიდატთა საზოგადო კრება.

დღის წესრიგი:

1) ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება „ჩვენი ტაქტიკა მენშევიზმთან ბრძოლის დრო

არსენალის რაიკომი იუწყება, რომ დღეს საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე გაიმართება საბჭოთა დაწესებულებების კომიაჩეიკების მდივანთა თათბირი.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

---

19 ნოემბერს საღამოს 5 საათზე (მუშტაიდში) ამხ. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში შესდგება მორიგი დელეგატთა კრება. სავალდებულოა ამ კრებაზე გამოცხადდენ ლენინის რაიონის ოჯახის ქალები და კომუჯრედის ორგანიზატორები.

ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე **ბიბინეიშვილი.**

თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** იუწყება: პარასკევს, ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია ქალაქის რაიკომის **უჯრედების ბიუროების კონფერენცია.**

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

დღის წესრიგი: ინსტრუქტორული მოხსენება მომავალ მუშაობის შესახებ.

ყველა უჯრედებს წინადადება ეძლევათ მოაწყონ არაჩვეულებრივი დღე უჯრედებისა (ნაცვლად ერთიანი პარტიული დღისა) და მოახდინონ გადარჩევა ბიუროების დელეგატებისა.

პასუხისმგებელი მდივანი **სტურუა.**

საქმის მწარმოებელი **არაქელოვი.**

თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის ქალთა განყოფილება იუწყება: სამშაბათს, 18 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება მესამე რაიონის **ქალთა დელეგატების კრება.**

ყველა დელეგატებისა და ქალორგანიზატორებისათვის დასწრება სავალდებულო

თბილისის ორგანიზაციის **მესამე რაიკომი** იუწყება: ოთხშაბათს, ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება რაიონის უჯრედების დელეგატთა კრება უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: მოხსენება თბილისის აღმასკომისა და ანკეტების გარჩევა.

მდივანი **ვართაპეტიანი.**

საქ. კომპარტიის **თბილ. კომიტეტის** აღრიცხველ - გამნაწილე განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა ქვემოჩამოთვლილ [illegible] ებს გამოცხადდნენ ბარსეგოვთან:

კოსტინ ივანე, ნაზაროვ არტემ, მანუკიანც არამ, ჯინჭარია ეფრემ, აბროიან მაის, ბოტნიკოვ მიხეილ, ზუბიავა ნიკოლოზ, ოქროპირიშვილი გიორგი, ხარიზმაროვ ჯანყოშვილი სიკა.

აღრიცხველ-გამნაწ. განყოფილება.

დღეს, სამშაბათს, 18 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება **ქალების სადელეგატო კრება.**

დასწრება სავალდებულოა ყველა დელეგატ ქალებისათვის.

ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება.

განცხადებები

არაპირდაპირ გადასახადთა ქვე-განყოფილების თანამშრომელნი ამით აუწყებენ, რომ შაბათს, 15 ნოემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამსახურებული, დაუღალავი, მათთვის ძვირფასი მეგობარი

ირაკლი დიმიტრის ძე
შევარდნაძე

გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 18 ნოემბერს დღის 3 საათზე საკუთარი ბინიდან, გუნიბის ქ. № 23

თანამშრომელნი სთხოვენ მეგობართ და ნაცნობთ, რათა დაესწრონ მის გამოსვენებას და ამით უკანასკნელი პატივი სცენ მის ხსოვნას.

1—1 № 2753.

შაბათს, 15 ნოემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ირაკლი დიმიტრის ძე
შევარდნაძე

რასაც აცნობებენ ნაცნობ-მეგობრებს ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მისი ბაბალე და შვილები მიხეილი, დიმიტრი და ნინო შევარდნაძეები. დასაფლავება სამშაბათს, 18 ნოემბერს ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზედ. გამოსვენება 3 საათზე, ბინიდან გუნიბის ქუჩა, № 23. ნ. 1—1

საქართველოს არაპირდაპირ გადასახადთა ქვე-განყოფილების ადგილკომი ამით აუწყებს, რომ შაბათს, 15 ნოემბერს გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დაუღალავი, პატიოსანი თანამშრომელი არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილებისა

ირაკლი დიმიტრის ძე
შევარდნაძე

გამოსვენება მოხდება, 18 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარ ბინიდან, გუნიბის ქ. № 23. 1—1 2753

შაბათს, 15 ნოემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თავდადებული და დაუღალავი მუშაკი თამბაქოს ნაწილის გამგე

ირაკლი დიმიტრის ძე
შევარდნაძე

რასაც არაპირდაპირ გადასახადთა ქვე-განყოფილების ადმინისტრაცია აუწყებს მეგობართ და ნაცნობთ. გამოსვენება მოხდება 18 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე, საკუთარ ბინიდან გუნიბის ქ. № 23.

1—1 № 2753.

ღრმად დამწუხრებულნი დედა ეკატერინე, ძმები სამსონ და ერმილე ცენტერაძეები, დები ალათი და ელისაბედ აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს თავისი ძვირფასი

ირაკლი დიმიტრის ძე
შევარდნაძის

გარდაცვალებას შაბათს, 15 ნოემბერს. დასაფლავება ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზედ, გამოსვენება, 18 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე, ბინიდან გუნიბის ქ. № 23. ნ. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მარიამ გოგორიშვილი, ოლღა გრიშაშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე ალშიბაია და თამარ ალშიბაია აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 15 ნოემბერს გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი მამა

ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე
ალშიბაია

დაკრძალვა 19 ნოემბერს ვერის სასაფლაოზე ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე

№ 2749—1—1

ამიერ-კავკასიის პოლიტ-კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების საბჭო

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს საღამოს ხუთ საათ. (18 ნოემბ.)

მოწვეულია სასწრაფო
საზოგადო კრება

საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ; ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა საზოგადოების ბიუროში, ლენინის ქ. № 29.

№ 2758—1—1

მუშათა კოოპერატივის
სავაჭრო განყოფილება
ნიშნავს წერილობითი
საჯარო ვაჭრობა

40.000 ფუთ ბუნებრივ ყინულზე. განცხადებანი მიიღება დახურულ წერილებით შემსყიდველ ქვე-განყოფილებაში კირპიჩნის ქ. № 7. დღის 12—2 საათამდე 23 ნოემბერს 1924 წ.

პირობების გაგება შეიძლება შუადღის 2—3 საათამდე.

მუშკოპის სავაჭრო განყოფილება

№ 249 2—1.

ა|კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართვ.

აცხადებს დაწესებულებათა და საწარმოოთა საყურადღებოთ, რომ ს. ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ. სესიის მიერ დამტკიცებულ საშემოსავლო გადასახადის ახალ დებულების მე-17-ე მუხლის შენიშვნის თანახმად

მუშა-მოსამსახურეთა დეკლარაციები მე-10 ფორმით

მათი შემოსავლის 1924 წლის 1-ლ აპრილიდან სექტემბრის 30-დე, აგრეთვე მათი ქონების იმავე წლის 1-ლ ოქტომბრამდე.

წარდგენილი უნდა იქნეს

სარაიონო საგადასახადო კომისიებში თვით დაწესებულებათა და საწარმოოთა მიერ

სადაც მსახურობენ გადამხდელები. ამის გამო დაწესებულებანი და საწარმოონი ეხლავ გადაუდებლად უნდა შეუდგნენ თავიანთ მუშა-მოსამსახურეებისაგან დეკლარაციების მიღებას და ასეთები გადასცენ სათანადო რაიონის საგადასახადო კომისიებს.

ა | კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის
მოადგილე—ი. შანცხავა
გადასახადთა განყოფილების მმართველი—ი. ჩიქოვანი

ნის. № 253—1—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვ'ს, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 2095.25—21

ამ.-კავკ. სახალხო კავშირის ოლქის სამმართველოს
ესაჭიროება ტელეგრაფის და ტელეფონის ბოძები

ფიჭვის და მუხის, ამიერ-კავკასიის შემდეგ პუნქტებში:

ბორჯომი, სუმბათოვი, ფასანაური, მანგლისი, კოჯორი, ზაქათალა, ახმეთი, გორი, კახი, დელიჟანი, მინის ქარხანა (ვორონცოვკის ახლო), ონი, ძეძი, ფოთი, აგასხომანი (ზუგდ. მაზრა), მარტაშენი, კუტკაშენი, კარჩევანი, ლენქორანი, პრიშიბი სულ 11.000 ძელი. ამ რიცხვიდან 1123 ცალი ბოძი ფიჭვის, ზომით 5—7 საჟენამდი უნდა იქნეს დამზადებული მდინარე ოლგას რაიონში. იმ დაწესებულებებს და პირებს, რომელთაც სურთ აიღონ დამზადება ბოძების, შეუძლიანთ პირობებს და კონდიციას ვრცლად გაეცნონ ახლო მდებარე ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში, თბილისში—კი სახალხო კავშირის ოლქის სამმართველოს ტექნიკურ განყოფილებაში, რუსთაველის ქუჩა, № 43.

დამზადება ბოძების შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. პირობის (ხელშეკრულობის) დადების დროს აუცილებლად საჭიროა საწინდრის შეტანა 10 პროც. დასამზადებელ ბოძების მთელი ღირებულების.

ნის. 252 3—1

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
მოზრდილების და ბავშვების შინაგან და ნერვიული სისტების სნეულებათა მკურნალობა
ელექტრო-სინათლით ■ ■
■ ■ სამკურნალო კაბინეტი
მიღება: დილით 10—12 საათ. საღამოთი 5—7 საათ.
(გარდა კვირა დღისა) პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილოვის) № 111 ბ. № 2
ქვ. № 2531—25—17

ექიმი
შუხმანი
სიფილისის, ვენერიული და კანის ავადმყოფობის
მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდი
ელისაბედის ქ. № 89 ქსენიის ქუჩი.
პირდაპირ № 2672—25—6

ექიმი
გ. გ. მეგრაბიან
ავადმყოფობა ფილტვების, გ ტუბერკულიოზის. სპეციალურ მალერიისა. ელექტრო-სხივებ გენის სამკურ. კაბინეტი. ფოტ ფია და მკურნალობა რენტ ვებით.
მიღება დილის 9—1 ს. და მოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. №
13—1

დაკარგე ღვინის 2 (ორი) ტანი მოწმობა ა რე აკოფოვის სახელზე. ჩაითვალოს ბულად. 1—1

დაკარგე ოტობაის უმაღ წყებითი სასწავ დამთავრების მოწმობა, მოცემული სკოლის ინსპექტორის ნ. ქირთბაიას წერით 1921 წ. 5 თებერვლიდან ჩაითვალოს გაუქმებულად. ფიოდოსია შაქარაია—ჟუჩაშ 1—1

დაკარგე შემდეგი მოწმ ზუგდიდის მაზრის კის ორკლასიანი სკოლის მასწ დანიშვნის მოწმობა 1916—17 თაისის გუბ. მე-4 დირექციის სახალ ლების ინსპექტორის მიერ მოც 1917—18 სასწავლო წელში ს. მასწავლებლად გადმოყვანის მოწმობა დირექციის მიერ და 3) ფოთის სამ სასწავლებლის დამთავრების № 371 მოცემული 1915 წლის მაი თვალოს გაუქმებულად. ბაგრატ უჩანეიშვილი. 1—1

დაკარგე ძველი სენაკი დაწყებ. სასწავ დამთავრების მოწმობა აპოლონ სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაკარგე სახლის საბუთები სრულებელი მოცემული მე-6 უბნის სახალხო მო ლის მიერ, და სხვადასხვა საბუთები თამაზაშვილის სახელზედ. ჩაითვალ მებულად. 1—1

დაკარგე კავშირის წიგნ 95056 ოლღა ტინეს ასული რიჟამაძის სახელზე ლოს გაუქმებულად. 1—1

დაკარგე პროფკავშირის წიგნაკი და მოწმობა იოსებ სპირ. ლორთქიფანიძის ზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—

დაკარგე კაპიტნიდან 40 ღვინის ჩამო ბართვა № 318. ჩაითვალოს გაუ არჩილ საბასძე თულიანი. 1—

დაკარგე პირადობის კავშირის წიგნ მული ქიმიკოსთა კავშირიდან და წიგნაკი ილია ნადირაძეს სახელზე ლოს გაუქმებულად.

„ზარია ვოსტოკას", სტამბა, სახ. წულუკიძის ქუჩა№ 4